



COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

გიორგი ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ
(საჩივარი №37048/04)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2009 წლის 13 იანვარი

საბოლოო გახდა
13/04/2009

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ
გადასინჯვას.

საქმეზე გიორგი ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია) პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:

ფრანსუაზ ტულკენსი (თავმჯდომარე)

ირენეუ კაბრალ ბარეტო

ვლადიმერო ზაგრებელსკი

დანუტე იოჩინე

დრაგოლიუბ პოპოვიჩი

ანდრაშ შაიო

ნონა წოწორია, მოსამართლეები

და *სალი დოლე*, სექციის განმწესრიგებელი

განხილა რა საქმე პალატის 2009 წ. 9 დეკემბრის სხდომაზე, გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

1. პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად უდევს საქართველოს მოქალაქის, ბ-ნი გიორგი ნიკოლაიშვილის (“მომჩივანი”) მიერ 2004 წ. 24 სექტემბერს, ევროპულ სასამართლოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილი საჩივარი (№37048/ 04).

2. მომჩივანის წარმოადგენდა ქ-ნი მაკა გიოშვილი, ხოლო საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) – ბ-ნი ბესარიონ ბოხაშვილი იუსტიციის სამინისტროდან.

3. 2006 წ. 12 სექტემბერს სასამართლომ გაუგზავნა შეტყობინება საქართველოს მთავრობას განმცხადებლის მიერ საჩივრის შემოტანის თაობაზე, რომელიც მიუთითებდა მის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის, მე-3 და მე-4 პუნქტების, ასევე ამავე კონვენციის მე-8-ე მუხლით გარანტირებული უფლებების დარღვევაზე, იმავდროულად, კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის თანახმად, სასამართლომ გადაწყვიტა საჩივრის დასაშვებობისა და არსებითი მხარის ერთდროულად განხილვა.

4. მთავრობამ და მომჩივანმა საჩივრის მისაღებობისა და საქმის გარემოებების შესახებ 2007 წ. 15 იანვარს თავიანთი განცხადებები/კომენტარები წარმოადგინეს (სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 54 ა).

ფაქტები

1. საქმის გარემოებები

5. მომჩივანი 1981 წელს დაიბადა და თბილისში ცხოვრობს.

ა. განმცხადებლის ფოტოების გამოქვეყნება

6. 2003 წ. 20 ივნისს, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მკვლელობის მუხლით („მკვლელობის საქმე“). 2003 წ. 20 ივლისს, განმცხადებლის ძმასა და კიდევ ერთ პირს წაეყენათ ბრალი მკვლელობისა და იარაღის უკანანო შექმნის, შენახვისა და ტარებისთვის. ეჭვიმტანილი პირები მიიმალნენ და 2003 წ. 4 ივლისს ოფიციალურად გამოცხადდნენ ძებნილებად.

7. 2003 წ. ივლისში (რიცხვი ვერ კონკრეტდება) ოთხი პიროვნების – განმცხადებლის, მისი ძმის, მეორე ბრალდებული პირისა და ამ უკანასკნელის ძმის ფოტოები გამოკრულ იქნა ვაკე-საბურთალოს, ამბროლაურის რაიონის პოლიციისა და საქართველო-სომხეთის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის ძებნილ პირთათვის განკუთვნილ დაფაზე, სადაც მითითებული იყო მათი სახელები და აღნიშნული იყო, რომ ისინი მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით იძებნებოდნენ.

8. განმცხადებლის ადვოკატების მოთხოვნის პასუხად, 2003 წ. 4 ნოემბერს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლომ დაადგინა, რომ 2003 წ. მაისიდან ნოემბრამდე განმცხადებლის მიმართ აღკვეთის ღონისძიებების გატარების არც ერთი ფაქტი არ დარეგისტრირებულა სასამართლოში. 2003 წ. 28 ნოემბრის შეტყობინების თანახმად, ვაკე-საბურთალოს პოლიციის განყოფილებამ ადვოკატებს დაუდასტურა, რომ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნის, შენახვისა და ფლობის ბრალდებით მხოლოდ განმცხადებლის ძმა იძებნებოდა და ანალოგიური ზომები განმცხადებლის მიმართ გატარებული არ იყო.

9. 2003 წ. 15 დეკემბერს განმცხადებლის ადვოკატებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) მოთხოვნით მიმართეს, რათა პოლიციის განყოფილებებიდან განმცხადებლის ფოტოები ძებნილ პირთათვის განკუთვნილი დაფიდან ჩამოეხსნათ და ის პირები დაესაჯათ, ვინც ფოტოები უკანონოდ განათავსა. 2003 წ. 30 დეკემბერის პასუხში შსს-მ განმეორებით დაადასტურა, რომ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით მხოლოდ განმცხადებლის ძმა იძებნებოდა. მომჩივანთან დაკავშირებით, გამომდინარე მისი მუდმივი უარიდან გამოცხადებულიყო ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში, ამ უკანასკნელმა მის მიმართ განახორციელა „სათანადო ოპერატიული ზომები, რათა მომჩივანი პროკურატურის წინაშე წარმდგარიყო მოწმის სახით“. ფოტოსურათის მოხსნის მოთხოვნას პასუხი არ მოჰყოლია.

10. 2004 წ. 28 იანვარს განმცხადებლის ადვოკატებმა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მიმართეს, რათა აღძრულიყო საქმე ცილისწამებისათვის განმცხადებლის ფოტოების უკანონოდ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით („საჩივარი ცილისწამებასთან დაკავშირებით“). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის („სსსკ“) 27-ე მუხლის იმდროინდელი რედაქციის მიხედვით, ცილისწამებაზე საქმის აღძვრა წარმოებდა კერძო ბრალდების საფუძველზე და სსსკ-ის 627-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, მხოლოდ კომპეტენტური სასამართლო იყო უფლებამოსილი აღედრა სისხლის სამართლის საქმე მოძივანის განცხადების საფუძველზე.

11. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ვაკე-საბურთალოს სასამართლომ განმცხადებლის გამოძახება მოითხოვა იმ მიზეზით, რომ მისგან ზეპირი განცხადება მოესმინათ ბრალდების თაობაზე. უწყების გაგზავნა განმცხადებლის მისამართზე შეუძლებელი იყო, რადგანაც, როგორც მისმა მშობლებმა საჩივარეს, მისი ადგილსამყოფელი უცნობი იყო ბოლო რვა თვის განმავლობაში.

12. 2004 წ. 4 თებერვლის გადაწყვეტილებით, ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ საჩივარი ცილისწამების შესახებ განუხილვევლად დატოვა. სასამართლომ აღნიშნა, რომ კერძო ბრალდების საფუძველზე საქმეთა წარმოების დაწყება შეიძლება მოხდეს როგორც პირადად განმცხადებლის მიერ, ისე მისი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით (სსსკ, მუხლი 627§1). სასამართლომ აღნიშნა, რომ საჩივარი ცილისწამების საფუძველზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე ხელმოწერილი იყო არა თავად განმცხადებლის ან მისი ადვოკატების, არამედ ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის დირექტორის მიერ, რომლის წევრებიც განმცხადებლის ადვოკატები იყვნენ. ადვოკატების თანახმად, მათი კლიენტი მიიჩნევდა, რომ მისი თავისუფლება საფრთხის ქვეშ იყო და სწორედ ამით აიხსნებოდა მისი გამოუცხადებლობა სასამართლოში. ამის შემდგომ ადვოკატებმა ზეპირი წესით კვლავ მოითხოვეს იმ პირთა გამოვლენა და დასჯა, ვინც განმცხადებლის ფოტოები ძებნილ პირთათვის განკუთვნილ დაფაზე უკანონოდ განათავსა და ის ეჭვმიტანილი გახადა მკვლელობაში. რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ქმედება ცილისწამების ნიშნებს არ შეიცავდა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმის პროკურატურისთვის გადაცემის შესახებ, რათა ამ უკანასკნელს დაედგინა, ჰქონდა თუ არა სინამდვილეში სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან ბრალეული ქმედების ჩადენას ადგილი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

13. სასამართლოს 2004 წ. 4 თებერვლის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელი იყო მისი გამოცხადებიდან 14 დღის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, საქმის მასალების მიხედვით, განმცხადებლის ადვოკატებს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებიათ.

14. 2004 წ. 9 თებერვალს ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა სტატია განმცხადებლის ფოტოების უკანონო გამოქვეყნების თაობაზე, რის შემდეგაც პოლიციის სტენდიდან ეს ფოტოები ჩამოღებულ იქნა.

15. 2004 წ. 7 აპრილს ვაკე-საბურთალოს რაიონულმა პროკურატურამ შეატყობინა განმცხადებლის ადვოკატებს, რომ 2004 წ. 4 თებერვლის სასამართლოს გადაწყვეტილებით პროკურატურას არ დავალება ცილისწამების ფაქტზე, ან სხვა სამართალდარღვევაზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. უბრალოდ, სასამართლომ მათ საქმე გადაუგზავნა „რეაგირებისათვის“, ხოლო 2004 წ. 27 თებერვლის გადაწყვეტილებით, პროკურატურამ ეს საქმე შიდა გამოძიებისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუგზავნა. 2004 წ. 7 აპრილის წერილი არ შეიცავდა სასამართლოს 2004 წ. 27 თებერვლის გადაწყვეტილების ასლს და არც განმარტებას იმის თაობაზე, რომ მომჩივანს ჰქონდა მისი გასაჩივრების უფლება. როგორც საქმის გარემოებებიდან ირკვევა, შინაგან საქმეთა სამინისტროს არცერთხელ არ შეუტყობინებია განმცხადებლისათვის მათ მიერ ამ საქმესთან დაკავშირებით მიღებული რაიმე გადაწყვეტილების თაობაზე (იხ. §105 ქვემოთ).

16. 2004 წ. აპრილში მომჩივანმა მიმართა გენერალურ პროკურატურას („გპ“) განცხადებით („მეორე საჩივარი“), რათა აემრათ სისხლის სამართლის საქმე თავისი ფოტოების უკანონოდ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. გენერალურმა პროკურატურამ ეს საჩივარი თბილისის პროკურატურას გადაუგზავნა მითითებით, რომ „გადაწყვეტილება მიეღოთ კანონის შესაბამისად“. თბილისის პროკურატურამ აღნიშნული მითითება გადაუგზავნა ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურას. განმცხადებლის თქმით, 2004 წ. 24 მაისს მან მოითხოვა ინფორმაცია პროკურატურისაგან მეორე საჩივრის საფუძველზე საქმის მიმდინარეობის შესახებ, მაგრამ პასუხი არ მიუღია. მთავრობის განცხადებით, ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურამ ეს საქმე განიხილა და გადაწყვეტილებაც მიიღო, თუმცა ამ გადაწყვეტილების თარიღი ვერ კონკრეტდება. ამ გადაწყვეტილების არც თარიღი და არც შინაარსობრივი მხარე მთავრობის მიერ ვერ დაკონკრეტდა.

ბ. განმცხადებლის სისხლისსამართლებრივი დევნა

17. განმცხადებლის თანახმად, მკვლელობის საქმის ძიებისას მისი მშობლები მუდმივ ზეწოლას განიცდიდნენ ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან, მათ აშინებდნენ, რომ მომჩივანს „დაიჭერდნენ“, თუ მისი მიმალვაში მყოფი ძმა პოლიციას არ ჩაბარდებოდა.

18. 2004 წ. 30 მარტს პოლიციის განმეორებითი მოთხოვნის პასუხად, მომჩივანი საკუთარი ნებით წარსდგა ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურის წინაშე. პროკურატურაში გამოცხადებისთანავე, მისი მოწმედ დაკითხვის გარეშე მოხდა განმცხადებლის დაკავება ცეცხლსასროლი იარაღის უკანაო შეძენის, შენახვისა და/ან ტარების ბრალდებით მკვლელობის საქმის ფარგლებში. ბრალდება ფორმალურად რამდენიმე სამხილს ეყრდნობოდა – სამი მოწმის ჩვენებას, გამოძიების დასკვნებსა და ცეცხლსასროლი იარაღის სასამართლო ექსპერტიზის შედეგებს. ყველა სამხილი

მკვლელობის საქმის ძიების პროცესში, 2003 წ. ივნისისა და ივლისის განმავლობაში იქნა მოპოვებული.

19. მოგვიანებით, იმავე დღეს, ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურამ მკვლელობის საქმიდან ცეცხლსასროლი იარაღის ასპექტი გამოყო და დამოუკიდებელ საქმედ დაარეგისტრირა („საქმე ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ“). მოგვიანებით, მომჩივანი მისი ადვოკატის თანდასწრებით დააპირისპირეს ერთ-ერთ მოწმესთან, რომლის ჩვენებებიც მიღებულ იქნა 2003 წ. ივნის-ივლისში (იხ. წინა პუნქტი). აღნიშნული დაპირისპირების დროს, მოწმემ თავისი თავდაპირველი ჩვენება განმცხადებლის სასარგებლოდ შეცვალა, მისი თქმით მხოლოდ განმცხადებლის ძმა იყო ცეცხლსასროლი იარაღის უკანანო შესყიდვა-შენახვა-ტარებაში შემჩნეული. გამოძიების დასკვნით, დაპირისპირების დროს მომჩივანმა და მისმა ადვოკატმა მოწმეზე „მორალური ზეწოლა“ განახორციელეს.

20. 2004 წ. 31 მარტს გამომძიებელმა ხელახლა დაკითხა ზემოხსენებული მოწმე, ამჯერად განმცხადებლისა და მისი ადვოკატის გარეშე. მოწმემ უკან წაიღო წინა დღეს შეცვლილი ჩვენება და 2003 წ. ივნისისა და ივლისის ჩვენებები დაადასტურა.

21. 2004 წ. 1 აპრილს მომჩივანს ცეცხლსასროლი იარაღისა და შენახვისა და ტარების ბრალდება წაეყენა. ეს ბრალდება ზემოხსენებულ სამხილს დაეფუძნა, რომელიც მოპოვებულ იქნა მკვლელობის საქმის გამოძიების პროცესში (იხ. §18). მომჩივანმა თავი უდანაშაულოდ სცნო. იმავე დღეს პროკურორმა განმცხადებლის სამთვიან პატიმრობაში აყვანა მოითხოვა.

22. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, განმეორებითი მოსმენის დროს პროკურორის ძირითადი არგუმენტი იყო, რომ მომჩივანის გათავისუფლება მკვლელობის მიმდინარე საქმეს რისკის ქვეშ დააყენებდა, რადგან ერთ-ერთი ბრალდებული, განმცხადებლის ძმა, მიმალვაში იყო. განმცხადებლის თქმით, მისი წინასწარი დაპატიმრების გამართლება მკვლელობის საქმის გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე უკანონო იყო, რადგან იგი მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების ბრალდებით იყო დაკავებული. მან ეს უკანასკნელი ბრალდება ასევე უარყო. თავის გათავისუფლების სასარგებლოდ მან საჩივარა, რომ უკანასკნელი ათი თვის განმავლობაში მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია გამოძიების შეფერხების არცერთ მცდელობას და რომ ის თავისი ნებით გამოცხადდა დაკითხვაზე პროკურატურაში. მან ასევე აღნიშნა, რომ მამა ჰყავდა სერიოზულად ავად და მის ყურადღებას საჭიროებდა.

23. 2004 წ. 2 აპრილს ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება განმცხადებლისთვის სამთვიანი პატიმრობის შეფარდების შესახებ, რომლის ძალაში შესვლის თარიღად 2004 წ. 30 მარტი გამოცხადდა. დაპატიმრების ბრძანება წარმოადგენს სტანდარტულ ფორმას, რომლის დასაბუთების ნაწილი წინასწარაა ამობეჭდილი. მოსამართლემ შესაბამის სამხილზე მითითება, მხარეთა წარმომადგენლების სახელები და სადაო ბრალდების კლასიფიკაცია ხელით შეავსო:

„საპროცესო კანონის მოთხოვნების შესაბამისად] დაპატიმრების მოთხოვნის მართლზომიერების და მხარეთა შუამდგომლობის განხილვის შედეგად მივედი დასკვნამდე, რომ შეგროვებული სამხილები – [მითითება 2003 წ. ივნისსა და ივლისში მოპოვებულ სამხილზე – იხ. §18] – აღძრავს საკმარის ეჭვს მასზე, რომ გიორგი ნიკოლაიშვილმა სადაო სამართალდარღვევა ჩაიდინა. სამხილი მოპოვებულია სისხლის სამართლის პროცედურების დაცვით.

გიორგი ნიკოლაიშვილის დაკავება და მისთვის ბრალის წაყენება საპროცესო კანონის დაცვით მოხდა.

მიმაჩნია, რომ [მითითება პროკურორის სახელზე] მიერ დაპატიმრების მოთხოვნა დასაბუთებულია და შესაბამისი საკანონმდებლო საფუძველი გააჩნია. გამომდინარე აქედან, ნაკლებად საშიშ დანაშაულში ბრალდებული გ. ნიკოლაიშვილის გათავისუფლების შემთხვევაში მის მიერ სიმართლის დადგენის შეფერხება ან გამოძიებისგან და სასამართლოსგან თავის აცილება დასაბუთებულია...“

ამის შემდეგ, მოსამართლემ ხელნაწერი მითითებით განმცხადებლის განცხადება საპროცესო დარღვევების შესახებ სადაო სამართალდარღვევის კლასიფიკაციასთან მიმართებაში შეუსაბამოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა

24. 2004 წ. 8 აპრილის საბოლოო გადაწყვეტილებით თბილისის რეგიონული სასამართლომ დაპატიმრების ბრძანება შემდეგი დასაბუთებით დაადასტურა:

„... [მომჩივანს] წაეყენა ბრალდება ნაკლებად სერიოზული დანაშაულისთვის, რაც გულისხმობს პატიმრობის აღკვეთას მაქსიმუმ ხუთი წ. ვადით. სადაო სამართალდარღვევა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენის, შენახვისა და/ან ტარებისთვის შესაძლოა მკვლელობის საქმეს უკავშირდებოდეს, რომლის გამოძიება ჯერ არ დასრულებულა. ასეთ ვითარებაში, აღკვეთის ზომის გაუქმებამ ან მისმა შეცვლამ აღკვეთის განსხვავებული ზომებით, შესაძლოა ხელი შეუშალოს აღნიშნულ საქმეში სიმართლის დადგენას; გათავისუფლების შემთხვევაში ბრალდებულმა შესაძლოა განახორციელოს ზეწოლა მოწმეებზე, განაგრძოს თავისი კრიმინალური საქმიანობა ან მიიმალოს. ასეთი დასკვნების გამოტანის მიზეზს ბრალდებულის არაგულწრფელობა გვადლევს.

საქმეში არსებობს როგორც ფორმალური (პროცედურული) ასევე ფაქტობრივი საფუძველი წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ.“

25. 2004 წ. აპრილსა და მაისში მომჩივანმა რამდენჯერმე მოითხოვა ბრალდების ზემოხსენებულ მოწმესთან დაპირისპირება (იხ. §§ 19 და 20). მისი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, როგორც დაუსაბუთებელი. მოხელეების განცხადებით წინა დაპირისპირება საპროცესო წესების დაცვით განხორციელდა და ხელმეორე დაპირისპირება იმავე შედეგს გამოიღებდა, რასაც პირველი – ადგილი ექნებოდა შესაბამის მოწმეზე მორალურ ზეწოლის განხორციელებას.

26. 2004 წ. 30 ივნისს წინასწარი პატიმრობის სამთვიანი ვადა ამოიწურა, ვადის გაგრძელების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. 2004 წ. 7 ივლისს გამოძიების შეწყვეტის შემდეგ, სისხლის სამართლის საქმე პროკურატურიდან სასამართლოს გადაეცა წინასწარი საბრალდებო დასკვნის თანხლებით.

27. 2005 წ. 24 იანვარს ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ზეპირი მოსმენის დროს დახურულ სასამართლო პროცესზე მიიღო გადაწყვეტილება განმცხადებლის გასამართლების შესახებ სსსკ 417 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული გადაწყვეტილება, ისევე როგორც 2004 წ. 2

აპრილის ბრძანება, სტანდარტული ფორმით გაიცა წინასწარ შევსებული დასაბუთებით. მოსამართლემ არსებულ ცარიელ ველეებში ფაქტების მოკლე აღწერა, ბრალდებულის სახელი და სადაო სამართალდარღვევის განმარტება მიუთითა.

28. დასაბუთებას რაც შეეხება, 2005 წ. 24 იანვრის გადაწყვეტილებამ წინასწარი პატიმრობა დაადასტურა წინასწარ დაბეჭდილი ფრაზით. მოსამართლემ დაუმატა თავისუფლების აღკვეთის ხელნაწერი განმარტება:

„თავისუფლების წინასწარი აღკვეთის ზომა – პატიმრობა – სწორად შეეფარდა“

29. საქმის მასალებში არაა მითითება სისხლის სამართლის საქმის შემდგომ განვითარებაზე

II შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და ევროპის საბჭოს დოკუმენტები

ა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სსსკ) იმ დროს მოქმედი რედაქციით

30. იმ დროს მოქმედი რედაქციით სსსკ 23 მუხლი:

“სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება იყოს საჯარო, სუბსიდიური, კერძო-საჯარო და კერძო“.

31. 27-ე მუხლის თანახმად, ცილისწამება სხვა დანაშაულებებთან ერთად კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეს წარმოადგენდა და სისხლის სამართლის საქმე შეიძლება აღძრულიყო მოსამართლის მიერ მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე (იხ. ასევე სსსკ მუხლი 627§1 და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 148).

32. მუხლი 44§22 ტერმინს „კანონიერი წარმომადგენელი“ განმარტავს როგორც „ახლო ნათესავს, მეურვეს, მზრუნველს“.

33. 93-ე და 94-ე მუხლები, რომლებიც მოწმის სტატუსს, მის უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავდა, არ გულისხმობდა, რომ გამოძიებას მოწმის „ძებნილად“ გამოცხადება შეეძლო. 95-ე მუხლის §1 (დ) პუნქტის თანახმად, ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის ვალდებულება მოწმეს არ გააჩნდა.

34. 94-ე მუხლის §2, 174-ე მუხლის §1 და 175-ე მუხლის თანახმად, პირის გამოძიებისთვის ჩვენებების მიცემის საფუძველს წარმოადგენდა შესაბამისი სასამართლო დადგენილება. ასეთი დადგენილება პოლიციაში უნდა გადაგზავნილიყო შესასრულებლად 176-ე მუხლის §1 თანახმად. იმ შემთხვევაში თუ დადგენილების შესრულება შეუძლებელი იქნებოდა, მათ შორის, მოწმის

ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო, შესრულებაზე პასუხისმგებელი პოლიციის ოფიცრის როლი იზღუდებოდა ამ ფაქტის აღნიშვნით დადგენილებაზე და სასამართლოსთვის „შეუსრულებელის“ სტატუსით დაბრუნებით.

35. მუხლი 151 ითვალისწინებდა:

„1. აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, ხელი არ შეეშალოს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, უზრუნველყოფილ იქნას განაჩენის აღსრულება.

2. აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება, თუ სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებები იძლევა საკმაო საფუძველს ვარაუდისათვის, რომ აუცილებელია ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული მიზნის უზრუნველყოფა.

3. აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების გამოყენების საფუძველი შეიძლება იყოს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული დაემალება გამოძიებასა და სასამართლოს, ანდა ხელს შეუშლის სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, ანდა მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო.

36. 159 მუხლის § 3 დაპატიმრებასთან დაკავშირებით:

„დაპატიმრება გამოიყენება მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელსაც ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წელზე მეტი ვადით...“

37. ასეთი მოქმედებისა გასაჩივრების უფლება მოცემულია 234-ე მუხლში:

„მომკვლევის, მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, გამოძიების ორგანოს უფროსის, პროკურორის, მოსამართლის ან სასამართლოს მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლიათ პროცესის მონაწილეებს, სხვა მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს ამ კოდექსით დადგენილი წესით.“

38. 236-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად მომკვლევის, მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, გამოძიების ორგანოს უფროსის ან პროკურორის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო საჩივრის შეტანა შეიძლება მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების მთელი წარმოების განმავლობაში (ანუ მანამ სანამ სისხლის სამართლის საქმე გადაეცემა კომპეტენტურ სასამართლოს).

39. მუხლი 410§2 საბრალდებო დასკვნის თაობაზე მოითხოვდა, საბრალდებო დასკვნას დართოდა აგრეთვე ყველა სათანადო ცნობა აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ. საბრალდებო დასკვნის განხორციელებისას პროკურორს ასევე უნდა განესაზღვრა იყო თუ არა აღკვეთის ზომა მართლზომიერად შეფარდებული (მუხლი 412). საქმის მასალები კომპეტენტურ სასამართლოში უნდა გადაგზავნილიყო ბრალდების დასკვნასთან ერთად პროკურორის მიერ დასკვნის დამტკიცებიდან არა უგვიანეს 48 საათისა (მუხლი 416, პუნქტი 3).

40. 417-ე მუხლის 1, 2 და 3 პუნქტების მიხედვით, თუ სასამართლო მიიჩნევდა, რომ საქმის სასამართლო წარმოების დასაწყებად საკმარისი მტკიცებულება არსებობს, ბრალდებული უნდა წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე წინასწარი მოსმენების ჩატარების შემდეგ. ასეთ მოსმენებზე სასამართლოს უნდა განეხილა წინასწარი აღკვეთის ღონისძიების შეფარდება ბრალდებულისთვის.

41. 2005 წ. 16 დეკემბერს შეტანილი ცვლილებების თანახმად, 417-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სავალდებულო გახდა ნებისმიერი სისხლის სამართლის დანაშაულზე ბრალდებულის სასამართლო საქმის წარმოების გადაწყვეტილებისთვის წინასწარი მოსმენების გამართვა. მუხლი 419 შემდეგ დროით შეზღუდვებს აწესებს განხილვისთვის:

„მოსამართლეს (სასამართლოს) რომელიც მიღებულ საქმეს განიხილავს, გამოაქვს დადგენილება თოთხმეტი დღის ვადაში წარმოებაში მისი მიღების შესახებ, რთული საქმეების შემთხვევებში, მის წარმოებაში არსებულ ბოლო საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთი თვის ვადაში“

42. 627-ე მუხლის 1 პუნქტის თანახმად მოსამართლე უფლებამოსილია დაიწყოს სისხლის სამართლის საქმის წარმოება დაზარალებულის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ საჩივრის შეტანის საპასუხოდ. მეტიც, 393 და 606 (1) მუხლების თანახმად „ძებნილად“ შეიძლება გამოცხადდეს მხოლოდ ბრალდებული ან მსჯავრდებული პიროვნება გამოძიების, პროკურატურისა ან სასამართლო ორგანოების ფორმალური გადაწყვეტილების საფუძველზე. მოწმის შემთხვევაში ამგვარი დებულება არ არსებობს.

ბ. სისხლის სამართლის კოდექსი

43. იმ მომენტისთვის მოქმედი რედაქციით, სისხლის სამართლის კოდექსის 148 მუხლი ითვალისწინებდა სასჯელს ცილისწამებისთვის. სისხლის სამართლის კოდექსიდან მისი ამოღება 2004 წ. 24 ივნისს მოხდა.

გ. 1999 წ. 30 აპრილის საქართველოს კანონი ოპერატიულ-საგამომძიებო საქმიანობის შესახებ

44. იმ დროს მოქმედი რედაქციით, კანონი ოპერატიულ-საგამომძიებო საქმიანობის შესახებ:

მუხლი 652

“პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ ოპერატიულ-სამმეზრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს მოქმედებას მოჰყვა მისი უფლებებისა და თავისუფლებების უკანონო შეზღუდვა, შეუძლია გაასაჩივროს ასეთი მოქმედების კანონიერება შესაბამის ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში, პროკურორთან ან სასამართლოში.”

მუხლი 8§1(გ)

„1. ოპერატიულ-სამმეზრო ღონისძიების ჩატარების საფუძვლებია:

(...)

გ) დადგენილება იმ პირის ძებნის შესახებ, რომელიც ეძებება გამოძიებას, სასამართლოს ან თავს არიდებს სასჯელის მოხდას;”

დ. კონვენციის მე-5 მუხლის მოსამზადებელი სამუშაოები (CDH (67) 10, სტრასბურგი 1967 წ. 20 ივლისი)

45. ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეის პირველის სესიის პლენარულ სხდომაზე (CACE), რომელიც 1949 წ. 19 აგვისტოს გაიმართა, წარმომადგენლებმა ის უფლებები და თავისუფლებები განიხილეს, რომელთა უზრუნველყოფა კონვენციის მეშვეობით უნდა მომხდარიყო:

„...ჩვენ ყველანი იძულებულნი ვიყავით, აგვეტანა ჩვენი უფლებების დაუჯერებელი შელახვა [როგორცაა] პიროვნების უსაფრთხოების დაკარგვა; უკანონო დაპატიმრება...

ყველას აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების თანასწორი უფლება...

ჩვენს სატრიაზო პროგრესზე სამარცხვინო ლაქად ჩანს ის ფაქტი, რომ ჩვენს თაობაში კვლავაც გვიწევს განცხადება იმისა, რომ ყველას აქვს სიცოცხლის, თავისუფლების და პირადი უსაფრთხოების უფლება... ეს ყველაფერი თავისთავადად აღიქმებოდა... სანამ სოფისტებმა არ გვითხრეს, რომ ადამიანს შეეძლო ბედნიერი ყოფილიყო სახელმწიფოს ღმერთად შერაცხვის გზით, სისხლის, მძიმე შრომის, ცრემლებისა და ოფლის ხარჯზე... ჩვენ ახლა ის გვაფიქრებს, როგორ დავიცვათ და შევინარჩუნოთ საკუთარი თავი და ყველაფერი ის რაც ვართ და გაგვაჩნია გაუმადლარი ტოტალიტარისტებისგან...”

46. CACE-ს პლენარული სხდომის დროს, 1949 წ. 7 სექტემბერს წარმოდგენილ იქნა იურიდიულ და ადმინისტრაციულ საკითხთა კომიტეტის ანგარიში. შესაბამისი ამონარიდი ამ ანგარიშიდან:

„კომიტეტმა ჩამოაყალიბა კოლექტიური გარანტიით უზრუნველყოფილი უფლებებისა და თავისუფლებების სია...

აქა წარმოდგენილია უფლებები და თავისუფლებები: პიროვნების უსაფრთხოება... თავისუფლება უკანონო დაპატიმრებისგან, დაკავებისგან, გადასახლებისა და სხვა ზომებისგან...”

სამართალი

1. კონვენციის მეხუთე მუხლის პირველი ნაწილის შესაძლო დარღვევა

47. მომჩივანი ასაჩივრებს კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევას იმ გარემოებების შედეგად, რომლებიც წინუძღოდა მის დაკავებას ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში, 2004 წ. 30 მარტს. ის ჩივის, რომ მისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებას, რომელიც გრძელდებოდა 2004 წ. 30 ივნისიდან 2005 წ. 24 იანვრის პერიოდში, არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონდა. კონვენციის შესაბამისი მუხლი:

„1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად:...

გ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა...“

48. მთავრობას განმცხადებლის დაკავების დროს მომხდარ გარემოებებთან დაკავშირებით, საპასუხო კომენტარები არ წარმოუდგენია. შესაძლო უკანონო დაკავების თაობაზე მთავრობამ საჩივარა, რომ სსსკ წინასწარი პატიმრობის ვადას ითვალისწინებს. 2004 წ. 7 ივლისს, გამოძიების დამთავრების შემდეგ, პროკურორმა საბრალდებო დასკვნა საქმის მასალებთან ერთად გადაუგზავნა სასამართლოს, სსსკ-ს 416-ე მუხლის თანახმად. ამის შემდეგ სასამართლომ მომჩივანს შეუფარდა პატიმრობა სსსკ-ს 419-ე მუხლის საფუძველზე.

49. ამის საპასუხოდ, მომჩივანმა კვლავ საჩივარა, რომ მისი დაკავება 2004 წ. 30 მარტს უკანონო იყო და ამასვე მეტყველებს სასამართლო პრაქტიკაც, მიღებული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად. მისი უსაფრთხოების უფლება დაირღვა იმ ფაქტით, რომ ის გამოიძახეს, როგორც მოწმე იმ ვითარებაში, როდესაც პროკურატურას მისთვის შესაძლო ბრალის წაყენების თაობაზე შეტყობინება არ გაუგზავნია. მომჩივანი ჩივის, რომ პროკურატურამ მისი დაკავების განზრახვა დამალა და ეს ფაქტი მათი მხრიდან თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებას წარმოადგენს. პროკურატურის მოულოდნელი მოქმედების შედეგად მომჩივანს არ მიეცა საშუალება მიეღო შესაბამისი ზომები მის წინააღმდეგ არსებული ეჭვების გასაქარწყლებლად. მეორე ნიშანი უკანონობისა არის ის, რომ ჩვენება, რომლის საფუძველზედაც განმცხადებლის დაკავება მოხდა, ადვოკატებისათვის ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ მისი დაკავების შემდეგ, 2004 წ. 30 მარტს, მაშინ როცა ამ ჩვენების გადმოცემას ადვოკატები ითხოვდნენ ჯერ კიდევ 2003 წ. ივლისიდან (იხ. §18).

50. საბოლოოდ, მსგავს საქმეზე მითითებით ბარანოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ (№ 28358/95, §§ 56-58, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000-III), მომჩივანმა გაიმეორა, რომ მისი დაკავება 2004 წ. 30 იანვრიდან 2005 წ. 24

იანვრამდე პერიოდში არ მომხდარა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე და იყო უკანონო კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი (გ) ნაწილის მიხედვით.

ა. დასაშვებობა

51. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის 1 პუნქტზე დამყარებული საჩივარი დასაბუთებული არის კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად. აგრეთვე, არ არის დაუმეგობლად მიჩნეული სხვა რაიმე საფუძველით. შესაბამისად, საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

ბ. არსებითი განხილვა

1. გარემოებები, რომლებიც წინ უძღოდა განმცხადებლის დაპატიმრებას 2004 წ. 30 მარტს.

52. სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის I პუნქტში გამოხატული „პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება“ უნდა განიმარტოს, როგორც ერთი უფლება, შესაბამისად უსაფრთხოება „თავისუფლების“ კონტექსტში უნდა გავიგოთ. უსაფრთხოების დაცვა პირდაპირ უკავშირდება ინდივიდის პიროვნული თავისუფლების დაცვას სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლებაში უკანონო ჩარევისაგან (იხ. ქემალ გიუვენის თურქეთის წინააღმდეგ (გადაწყვ.), № 31847/96, 30 მაისი 2000). უსაფრთხოების ცნება აიძულებს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, დაიცვან კანონის უზენაესობის პრინციპი და სამართლებრივი დაცვის სხვა ელემენტარული წესები როდესაც პიროვნების თავისუფლებაა სასწორზე. (იხ. კურტი თურქეთის წინააღმდეგ 1998 წ. 25 მაისის სასამართლო პროცესი, გადაწყვეტილებათა და გადაწყვეტილებათა კრებული, 1998-III, §§ 122-123).

53. სასამართლო იზიარებს იმ აზრს, რომ „პიროვნების დაცვის უფლება“, კონვენციის ავტორების აზრით, უფრო მეტს გულისხმობდა, ვიდრე სახელმწიფო ორგანოების მიერ პიროვნების ფიზიკური თავისუფლების დაცვა (იხ. §§ 45-46). კონვენციის მე-5 § 1 მუხლის შემდეგი განმარტება ამბობს, რომ შესაბამისი საფუძველების არსებობისას საფრთხის ქვეშ დგება როგორც ინდივიდის ფიზიკური თავისუფლება, ასევე მისი პირადი უსაფრთხოება (იხ. „კურტი“, მოცემულია ზემოთ, §123). „უსაფრთხოების“ ცნებაზე დაყრდნობით სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოებისგან, რომელნიც უფლებამოსილი არიან აღკვეთონ პირის თავისუფლება, როგორც წესი, მოელიან ამ უკანასკნელთან კეთილსინდისიერ ურთიერთქმედებას (იხ. ჩონკა ბელგიის წინააღმდეგ, № 51564/99, §§ 41 და 42, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2002 I; ბოზანო

საფრანგეთის წინააღმდეგ, 1980 წ. 18 დეკემბრის სასამართლო პროცესი, სერია A № 111, § 55). გამომდინარე აქედან ინდივიდის ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარად ზემოქმედების მცდელობა მოვლენების ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში გამიზნულად არ უნდა მიიჩქმალოს ხელისუფლების მიერ (იხ. ასევე პუნქტი 58). პირმა უნდა შეძლოს მიმართოს ხელმისაწვდომ ლეგიტიმურ საშუალებებს, რათა თავისუფლების დაცვის მიზნით დაუპირისპირდეს ხელისუფლების ქმედებებს (იხ. , ბოზანო, მოცემულია ზემოთ, §§ 59-60; შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ, №. 36378/02, § 380, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2005 III). როდესაც სასწორზე პიროვნების თავისუფლებას, განსკუთრებით მნიშვნელოვანია იურიდიული უტყუარობის ზოგადი პრინციპი დაკმაყოფილებული იყოს. მნიშვნელოვანია, რომ მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ისევე როგორც ხელისუფლების ფორმალური გადაწყვეტილებები და მოქმედებები, მისაღები და ერთმნიშვნელოვანია იმდენად, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რჩევის მეშვეობით პირს შეუძლია მოცემულ ვითარებაში, საღი აზრის ფარგლებში განსაზღვროს მოცემული ქმედების შედეგები (იხ. გუსინსკი რუსეთის წინააღმდეგ, № 70276/01, §§ 62 და 68, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2004 IV; ლადენტი პოლონეთის წინააღმდეგ, № 11036/03, §§ 53 და 56, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2008 ...; კავკა პოლონეთის წინააღმდეგ, №. 25874/94, § 49, 9 იანვარი 2001; ლუკანოვი ბულგარეთის წინააღმდეგ, 1997 წ. 20 მარტის სასამართლოს გადაწყვეტილება, ანგარიშები 1997 II, § 44). სასამართლომ მიიჩნია, რომ დაკავებას იურიდიული უტყუარობის პრინციპების უგულვებელყოფით პრინციპში შეეძლო გამოეწვია პიროვნების უსაფრთხოების უფლების დარღვევა (იხ. , ოჯალანი თურქეთის წინააღმდეგ [GR], № 46221/99, §85, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2005 IV).

54. წინამდებარე საქმის გარემოებების შესწავლისას სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლისთვის თავისუფლების აღკვეთის შედარებისას კონვენციის მეხუთე მუხლის პირველ პუნქტთან, შესაბამისი გადაწყვეტილებების გარდა, ასევე გასათვალისწინებელია 2004 წ. 30 მარტს მისი დაპატიმრების თანხმლები გარემოებები.

55. სასამართლო აღნიშნავს, რომ ჩანაწერების თანახმად განმცხადებლის მიერ 2004 წ. 30 მარტს ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში საკუთარი ნებით გამოცხადებამდე შესაბამის ორგანოებს განმცხადებლისთვის არცერთხელ არ უცნობებიათ სისხლის სამართლის საქმის აღმვრის შესაძლებლობის შესახებ. მომჩივანი გამოცხადდა მოწმის სახით დასაკითხად მკვლელობის საქმეზე, რომელშიც მისი ძმა ფიგურირებდა. ამასთან დაკავშირებით სასამართლოს მიაჩნია, რომ ნებისმიერ ძალადობა მომჩივანზე მის მიერ ძმის წინააღმდეგ ჩვენების მიცემასთან დაკავშირებით, სსსკ 95 მუხლის პირველ პუნქტს არღვევს, რომლის მიხედვითაც ის ასეთი ვალდებულებისგან თავისუფალია (იხ. §33). პრინციპში, ეჭვი განმცხადებლის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის უკანანო შენახვა/ტარების შესახებ ვერ გამოირიცხება – წარმოადგენს რა მისი დაპატიმრების ერთადერთი ფორმალურ

საფუძველს და ეს ეჭვი შესაძლოა მისი დაკითხვის პროცესში წარმოშობილიყო. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი გადაწყვეტილებების გათვალისწინებით სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს ეჭვი, შემდგომი ბრალდება და დაპატიმრების საფუძველი ეყრდნობა სამხილს, რომელიც უკვე მოპოვებული იყო მკვლელობის საქმის გამოძიების პროცესში 2003 წ. ივნისის და ივლისის განმავლობაში (იხ. §§ 18, 21 და 23). სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მთავრობამ არ დაასაბუთა გამჭვირვალობის ნაკლებობა და არ განმარტა, თუ რატომ არ აღიძრა ცეცხლსასროლი იარაღს უკანონო შენახვისა და ტარების საქმე განმცხადებლის წინააღმდეგ დანაშაულებრივი ფაქტების გაგებისთანავე, და მეორე რატომ გახდა საჭირო ასე სასწრაფოდ მისი დაპატიმრება პროკურატურაში მისი მოწმედ გამოცხადებისთანავე (იხ. სტეპულეაცი მოლდოვას წინააღმდეგ, №. 8207/06, § 76, 6 ნოემბერი, 2007)

56. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო მიიჩნევს, რომ დაირღვა პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება მისი ისეთ ვითარებაში დაპატიმრების საფუძველზე, როდესაც ეს პიროვნება არ იყო ინფორმირებული მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ და თავისუფლების ამ სახით აღკვეთა კონვენციის მეხუთე მუხლის პირველ (გ) პუნქტს ეწინააღმდეგება, გამოვლინდა რა ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან უკანონობის ფაქტები (იხ. ლადენტი, მოცემულია ზემოთ, §§ 45 ანდ 55-57). განმცხადებლის დაკავების გარემოებები მით უფრო შემაშფოთებელია. მისი როგორც მკვლელობის საქმის გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი მოწმესთან თანამშრომლობის პარალელურად §§ 8,9,18) შესაბამის ორგანოებს, როგორც ჩანს შეცდომაში შეჰყავდათ მომჩივანი მის მიმართ ნამდვილი ინტერესის თაობაზე. სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთი მეთოდები არათუ ძირს უთხრის იურიდიულ უტყუარობას და შესაბამისად, წინამდებარე საქმის მაგალითზე, მოწმედ გამოძახებულ პირებში პირადი საფრთხის განცდას აღვივებს, არამედ ასევე ძირს უთხრის ფართო საზოგადოების ნდობას და პატივისცემას შესაბამისი ორგანოების მიმართ.

57. განმცხადებლის დაპატიმრების მოტივებთან დაკავშირებით სასამართლო ითვალისწინებს განმცხადებლის ვარაუდს, რომლის გასაჩივრება მთავრობის მხრიდან არ მომხდარა, იმის თაობაზე, რომ შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლები მუდმივად აშინებდნენ მის მშობლებს, რომ „დაიჭერდნენ“ მას თუ მისი მკვლელობაში ეჭვიმტანილი ძმა პროკურატურაში არ გამოცხადდებოდა (იხ. §17). ეს ვარაუდი, სასამართლოს აზრით, ნდობას იმსახურებს ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის მიზეზების შეფასების ფონზე. ამგვარად არც გამოძიების და არც სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ უარყვეს ფაქტი, რომ განმცხადებლის დაკავების მიზეზი იყო მისი ძმის სისხლის სამართლის საქმის სათანადო გამოძიების უზრუნველყოფა (იხ. §§ 22 და 24). ამ ვითარებაში სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლის დაპატიმრება, იმ შემთხვევაშიც კი თუ ის შეესაბამებოდა შიდა კანონმდებლობას, კონვენციის მეხუთე მუხლის პირველ პუნქტს ეწინააღმდეგებოდა,

რადგან მიზნად ისახავდა დამატებითი ზეწოლის მექანიზმის მოპოვებას დაუკავშირებელ სისხლის სამართლის საქმეზე, რაც მიუღებელია ზემოხსენებული (გ) ქვეპუნქტის მიხედვით (იხ. ზემოთ მოყვანილი , გუსინსკი, მოცემულია ზემოთ §§ 74 77).

58. სასამართლო არ გამორიცხავს ეროვნული ხელისუფლების უფლებამოსილებას მიმართოს გარკვეულ ხრიკებს კრიმინალური საქმიანობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის თვალსაზრისით (იხ. ზემოთ მოყვანილი ჩონკა, § 41). მიუხედავად ამისა, ყველა მეთოდი/ხრიკი გამართლებული ვერ იქნება, განსაკუთრებით, როდესაც მისი გამოყენება სამართლებრივი უტყუარობის პრინციპების უგულვებელყოფით ხდება. წინამდებარე საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა მეთოდები – დაპატიმრების პერსპექტივა როგორც მორალური ზეწოლის მექანიზმი – აშკარას ხდის, რომ მისი (განმცხადებლის) თავისუფლების აღკვეთა ვერ აკმაყოფილებს კონვენციის მეხუთე მუხლის პირველ პუნქტს, რომელიც პიროვნების უკანონობისგან დაცვას გულისხმობს (იხ. ბენჰამი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, სასამართლო პროცესი 10 ივნისი 1996, ანგარიშები 1996 III, გვ. 752-53, § 43). სასამართლოს აზრით, უკანონობისგან დაცვა აუცილებლად გულისხმობს განმცხადებლის დაცვას მისი თავისუფლების შეზღავნის საფრთხისგან.

59. ზემოხსენებულ გარემოებათა გამო სასამართლომ კონვენციის მე-5 (1) მუხლი დარღვეულად მიიჩნია.

2. პატიმრობის პერიოდი 2004 წ. 30 ივნისიდან 2005 წ. 24 იანვრამდე

60. სასამართლო დაადგინა, რომ 2004 წ. 2 აპრილის პატიმრობის შესახებ ბრძანების ვადა 2004 წ. 30 ივნისს ამოიწურა, განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა არ იყო გათვალისწინებული არც ერთი სასამართლო დადგენილებით. ასეთი სიტუაცია 2005 წ. 25 იანვრამდე გაგრძელდა, როდესაც ადგილობრივმა სასამართლომ სსსკ 417 მუხლის მე-3 პუნქტით მიიღო დადგენილება მის გასამართლებასა და სასამართლოს ჩატარებამდე მისი პატიმრობის გაგრძელების თაობაზე.

61. მთავრობის განცხადების თანახმად, 2004 წ. 30 აპრილიდან 2005 წ. 24 იანვრამდე განმცხადებლის დაკავების სამართლებრივი საფუძველი გახლდათ საქართველოს სისხლის კოდექსის 416-ე და 419-ე მუხლები (ზემოხსენებული პუნქტები 39 და 41), მას შემდეგ, რაც პროკურორმა საბრალდებო დასკვნა საქმის მასალებთან ერთად გადაუგზავნა სასამართლოს. თუმცა, განხილვის საგანს არ წარმოადგენს ის, რომ საბრალდებო დასკვნა სასამართლოს 2004 წ. 7 ივლისს გადაეგზავნა (იხ. §26 ზემოთ). შესაბამისად, აუხსნელი რჩება ის საკითხი, თუ რატომ მოხდა დაკავება 2004 წ. 30 ივნისიდან 7 ივლისამდე სასამართლო ორდერის გარეშე.

62. რაც შეეხება პერიოდს 2004 წ. 7 ივლისიდან 2005 წ. 24 იანვრამდე, სასამართლო აღნიშნავს, რომ 5 § 1 მუხლის დარღვევას ადგილი ჰქონდა მთელ რიგ

საქმეებში, რომელიც მოპასუხის დაპატიმრების პრაქტიკას ეხება მხოლოდ იმ ფაქტის საფუძველზე, რომ საბრალდებო დასკვნა სასამართლოში იყო გადაგზავნილი. მოპასუხეების დაკავება კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლის, ან სიტუაციის მარეგულირებელი კონკრეტული წესების გარეშე – იმ შედეგით, რომ შეიძლება მათი თავისუფლება აღკვეთილ იქნას განუსაზღვრელი პერიოდით სასამართლო ავტორიზაციის გარეშე – სამართლებრივი ჭეშმარიტების და თვითნებურობისაგან დაცვის პრინციპებს ეწინააღმდეგება, რაც კონვენციას და კანონის უზენაესობას საფუძვლად უდევს (იხ., სხვათა შორის, გიგოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, № 18145/05, §§ 32-36, 8 ივლისი 2008 წ.; ჟეციუსი ლიტვის წინააღმდეგ, № 34578/97, §§ 60-64, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000 IX; გრაუსლისი ლიტვის წინააღმდეგ, № 36743/97, §§ 39-41, 2000 წ. 10 ოქტომბერი; ბარანოვსკი, მოცემულია ზემოთ, §§ 53-58, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000 III; ხუდოიროვი რუსეთის წინააღმდეგ, № 6847/02, §§ 146-147, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2005 X).

63. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე განცხადება არ განსხვავდება ზემოხსენებული გიგოლაშვილის საქმისაგან და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასა და მოცემული დროისათვის პრაქტიკაში არსებული იმავე ნაკლოვანებებიდან გამომდინარეობს.

64. შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 417 §§ 1 და 3 (პუნქტი 40 ზემოთ) მუხლით, მას შემდეგ, რაც პროკურატურამ საქმის გამოძიება შეწყვიტა და სისხლის სამართლის საქმე შესაბამისი იურისდიქციის სასამართლოს გადასცა, ამ უკანასკნელს შეეძლო გაემართა მოსმენა დასაშვებობის შესახებ და გადაეწყვიტა, გაემართა თუ არა პროცესი ბრალდებულისთვის, ან საჭირო ხომ არ იყო აღკვეთის ღონისძიების შეფარდება ამ პირისათვის.

65. თუმცა, პრობლემა წარმოიშვა ამგვარი მოსმენის დროსთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის შესაბამისად (პუნქტი 41 ზემოთ), დასაშვებობის საკითხზე მოსმენა უნდა გამართულიყო თოთხმეტ დღეში, ან, „რთული საქმეებისთვის“ ერთ თვეში მას შემდეგ, რაც საბოლოო გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული ბოლო, ამ საქმესთან კავშირის არმქონე სხვა სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც იმავე მოსამართლემ განიხილა, თუმცა, ამ უკანასკნელს არ გააჩნდა დროითი შეზღუდვები „ბოლო“ საქმის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ მოითხოვს სასამართლო ორდერის გაცემას მოპასუხის დაკავებისთვის, ასევე არ აკონკრეტებს რომელიმე კანონით დადგენილ პერიოდებს დაკავების პერიოდში. ამგვარი საკანონმდებლო ლაფსუსით სახეზეა მოპასუხეთა დაკავების პრაქტიკა თვეების განმავლობაში სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, როგორც ეს წინამდებარე საქმეში მოხდა (ასევე იხ. აბსანძე საქართველოს წინააღმდეგ (დეკ.), № 57861/00, 2004 წ. 20 ივლისი; რამიშვილი და კობხრიძე საქართველოს წინააღმდეგ (დეკ.), № 1704/06, 2007 წ. 26 ივნისი).

66. გამომდინარეობს, რომ 2004 წ. 30 ივნისიდან 2005 წ. 24 იანვრამდე, ექვსი თვისა და ოცდახუთი დღის განმავლობაში, არ არსებობდა სასამართლოს გადაწყვეტილება განმცხადებლის დაკავების შესახებ. მთავრობამ ვერ განმარტა რა იყო ამ პერიოდის პირველი შვიდი დღის სამართლებრივი საფუძველი. უფრო მეტიც, ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის საქმე სასამართლოში გაიგზავნა საბრალდებო დასკვნასთან ერთად, არ შეადგენს სამართლებრივ საფუძველს იმისათვის, რომ დაკავების დარჩენილი პერიოდი კანონიერი იყოს კონვენციის 5§1 მუხლის მნიშვნელობით (იხ. გიგოლაშვილი, მოცემულია ზემოთ, §36; ნახმანოვიჩი რუსეთის წინააღმდეგ, № 55669/00, § 68, 2006 წ. 2 მარტი; ხუდოიოროვი, მოცემულია ზემოთ, §§ 149 და 151).

67. დაკავების პერიოდთან დაკავშირებით, კონვენციის 5§1 (გ) პუნქტი დაირღვა.

II. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

68. მომჩივანი საჩივარში აღნიშნავს, რომ 2004 წ. 2 და 8 აპრილის, ასევე 2005 წ. 24 იანვრის გადაწყვეტილებები მისი წინასწარი დაპატიმრების შესახებ არასათანადოდ იყო მიღებული. ის ეყრდნობა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს, სადაც, შესაბამის ნაწილში, აღნიშნულია, რომ:

„ამ მუხლის 1-ლი ‘ც’ პუნქტის დებულების თანახმად დაკავებულ ან დაპატიმრებულ ყველა პირს ... უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით“.

69. მთავრობას, საქმის დასაშვებობის და არსის განხილვის დროს, აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი არ წარმოუდგენია.

70. თუმცა, მომჩივანმა წარმოადგინა პრეტენზია, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს მის მიერ წარდგენილი გათავისუფლების განცხადებაში არგუმენტების განხილვა და არ გადმოსცეს კონკრეტული მიზეზები, თუ რატომ არსებობდა „ჭეშმარიტების დადგენის თავიდან არიდების ან ხელის შეშლის საფრთხე“. მან ასევე აღნიშნა, რომ სასამართლოები საქმესთან კავშირის არმქონე მკვლევლობის თაობაზე მიმდინარე გამოძიებას ეყრდნობოდნენ, როგორც მისი წინასწარი დაკავების საფუძველს. განცხადებელმა ასევე კითხვის ქვეშ დააყენა 2005 წ. 24 იანვრის გადაწყვეტილება, რითაც მხარი დაუჭირეს მის დაკავებას საქმის გარემოებების მნიშვნელოვანი განხილვის გარეშე.

ა. დასაშვებობა

71. სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნული საჩივარი არ არის უსაფუძვლო კონვენციის 35-3 მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით, ასევე არ არის დაუშვებელი სხვა ნებისმიერი საფუძვლის გამო. შესაბამისად, ის დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

ბ. არსებითი განხილვა

72. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის წინასწარი დაკავება კანონიერად მოხდა სასამართლოს მიერ 2004 წ. 2 და 8 აპრილს, ასევე 2005 წ. 24 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებებით. შესაბამისად, იმის დასადგენად, იყო თუ არა მისი დაკავება მიზანშეწონილი კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, განხილული უნდა იყოს აღნიშნულ გადაწყვეტილებებში მოცემული მიზეზები, ასევე გათავისუფლების შესახებ განმცხადებლის მიერ წარდგენილ განცხადებაში მოცემული არგუმენტები (იხ., მაგალითად, გალუაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, N. 40008/04, §§ 46 და 48, 2008 წ. 17 ივლისი; იაბლონსკი პოლონეთის წინააღმდეგ, №. 33492/96, § 79, 2000 წ. 21 დეკემბერი).

73. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის დაპატიმრების გასაჩივრებული ორდერი 2004 წ. 2 აპრილს სტანდარტული წესის გამოყენებით იქნა გაცემული. დაკავებისთვის დამარწმუნებელი მიზეზების დადგენის მოვალეობის შესრულების მაგივრად, ადგილობრივი სასამართლო ბლანკში მოცემულ აბსრაქტულ გარემოებებს დაეყრდნო. ამგვარი პრაქტიკა ადგილობრივი უწყებების მხრიდან „განსაკუთრებული ყურადღების“ ნაკლებობაზე მიუთითებს, კონვენციის 5§3 მუხლის არსის საპირისპიროდ (იხ. ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ, №. 30779/04, § 74, 2007 წ. 6 ნოემბერი; გ.კ. პოლონეთის წინააღმდეგ, № 38816/97, § 84, 2004 წ. 20 იანვარი).

74. რაც შეეხება 2004 წ. 8 აპრილის სააპელაციო საჩივარს, ის ეყრდნობა იმ საფუძველს, რაც, სასამართლოს მოსაზრებით, კონვენციის მიზნებისაგან განსხვავდება: სააპელაციო სასამართლომ, სასჯელის სიმკაცრესთან დაკავშირებული არგუმენტის მოყვანის გარდა, განმცხადებლის წინასწარი დაკავება გაამართლა და მიუთითა ამავე პერიოდში განმცხადებლის ძმის წინააღმდეგ აღძრული მკვლელობის საქმის მიმდინარე გამოძიებაზე, რომელსაც ამ საქმესთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. ამგვარი განხილვა არა მხოლოდ შეუსაბამო იყო კონვენციის 5§3 მუხლის საფუძველზე განმცხადებლის დაკავების გონივრულობის შეფასების მიზნებისათვის, არამედ ასევე გვერდს უვლიდა კონვენციის 5§1 (ც) მუხლში დაშვებული გამონაკლისის არსს. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიმართებას განმცხადებლის „არაგულწრფელობის“ მიმართ, ეს დაუსაბუთებელი განცხადებაა, რომელიც არ საქმეში არსებული კონკრეტული გარემოებებს არ ეფუძნება.

75. სასამართლოს მიერ 2004 წ. 2 და 8 აპრილს მიღებული გასაჩივრებული გადაწყვეტილებები, პირველ და მეორე ინსტანციაში, განმცხადებლის წინასწარ

პატიმრობას ეხება პირველი სამი თვის განმავლობაში. აღნიშნული პერიოდი შეფასების შემდეგ არაგონივრული ჩანს, როგორც ამას სასამართლოს კარგად დადგენილი პრეცედენტული სამართალი მიგვითითებს, არა ინ აბსტრაქტო, არამედ ზემოხსენებულ შეუსაბამო, არასაკმარის და თვითნებურ მიზეზებთან დაკავშირებით, რომლებიც ადგილობრივი უწყებების მიერ იქნა წარმოდგენილი (იხ., მაგ. მიჩტა პოლონეთის პოლონეთის წინააღმდეგ, № 13425/02, §§ 45 და 46, 2006 წ. 4 მაისი). სასამართლო ამ მხრივ აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-5 (3) მუხლი ანიჭებს უფლებას ინდივიდს, იყოს თავისუფალი წინასწარი გამოძიების პერიოდში მიუხედავად მოსალოდნელი პატიმრობის ვადის ხანგრძლივობისა. მუხლი 5§3 არ რთავს წინასწარი უპირობო დაპატიმრების ნებას, თუნდაც ამ დაკავების ვადის სიმცირისა (იხ, სხვათა შორის, ბელჩევი ბულგარეთის წინააღმდეგ, № 39270/98, § 82, 2004 წ. 8 აპრილი; ფაცურია, ზემოთ, § 66). განმცხადებლის დაპატიმრების თაობაზე პირველი ორდერის გაცემიდან 2004 წ. 2 აპრილს, დაპატიმრებიდან სამი Dდღის შემდეგ სახელმწიფო ორგანოები ვალდებული იყვნენ გამოექვეყნებინათ რაიმე დოკუმენტი ამ დაკავების დასაბუთების მიზნით. პრეზუმფცია ყოველთვის გათავისუფლების სასარგებლოდ არსებობს (იხ. ფაცურია, ხსენებულია ზემოთ, §§ 66-67, და მაკკეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [GR], № 543/03, § 41, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2006 ...).

76. 2005 წ. 24 იანვრის სასამართლოს გადაწყვეტილება, 2004 წ. 2 აპრილის დაკავების ორდერის მსგავსად, სტანდარტული ფორმით იქნა გაცემული და მისი ბლანკი შეიცავდა წინასწარ ფორმულირებულ მსჯელობას აბსტრაქტული ფორმით. განმცხადებლის პატიმრობაში დაბრუნების შემდეგ, თითქმის ათი თვის მანძილზე, რომელთაგან ექვს თვეს სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა (იხ. პუნქტი 66 ზემოთ), ადგილობრივმა სასამართლომ, ნაცვლად თავისი მოვალეობისა, რომ დამაჯერებლად დაედგინა კონკრეტული ფაქტების არსებობა პატიმრობის გაგრძელების დასაბუთებისთვის (იხ. ზემოხსენებული ჯ. და კ., § 84), მომჩივანი პატიმრობაში დასტოვა ერთადერთი აბსტრაქტული ფრაზის საფუძველზე: „*აღკვეთის შეფარდებული ზომა სწორად იქნა შერჩეული*“. აღნიშნულით არსებითად შეიზღუდა განმცხადებლის უფლებები, რაც კონვენციის 5§3 მუხლით იყო გარანტირებული (იხ. ზემოთ, ფაცურია, § 74).

77. იმის დაშვებით, რომ წინამდებარე საქმეში იარსებებდა კონკრეტული და სატანადო ფაქტები, რაც განმცხადებლის თავისუფლების აღკვეთას გამოიწვევდა, არანაირი მსგავსი ფაქტი შესაბამის ადგილობრივ გადაწყვეტილებებში მითითებული არ ყოფილა (იხ. ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ [GR], № 26772/95, § 152 ინ ფინე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000 IV). სასამართლოს ამოცანას არ წარმოადგენდა ემოქმედა ადგილობრივი ხელისუფლების მაგივრად და ამგვარი ფაქტები დაედგინა (იხ. ილიჟკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ, № 33977/96, § 86, 2001 წ. 26 ივლისი; ნიკოლოვი ბულგარეთის წინააღმდეგ, № 38884/97, § 74, 2003 წ. 30 იანვარი; და პანჩენკო რუსეთის წინააღმდეგ, № 45100/98, § 105, 2005 წ. 8 თებერვალი).

78. საბოლოოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა დაახლოებით ათი თვის განმავლობაში გაგრძელდა (იხ. §§ 18, 28 და 29 ზემოთ). ამგვარი ხანგრძლივი პერიოდი მიუთითებს, რომ ხელისუფლებამ ვერ შესძლო საქმე განსაკუთრებული გულისყურით განეხილა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს წინასწარი დაკავების კანონიერების ფაქტის კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებთან შედარებისას (შეადარეთ გალუაშვილი, § 50 და ფაცურია, §§ 61 და 77, ორივე მოყვანილია ზემოთ).

79. მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლის საქმესთან დაკავშირებული კონკრეტული ფაქტების გათვალისწინების, ასევე ალტერნატიული არასაპატიმრო წინასწარი ზომების მიღების შეუძლებლობის გამო, ხელისუფლებამ, სტერეოტიპული ფორმულის გამოყენებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის დებულებების ინტერპრეტაციით (იხ. ფაცურია, მოყვანილია ზემოთ, §§ 12, 14 და 15; ჯავახიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (დეკ.), № 42065/04, 2007 წ. 2 ოქტომბერი), მომჩივანს წინასწარი დაპატიმრება შეუფარდა იმ მიზეზების გამო, რომლებიც ვერც „საკმარისად“ ჩაითვლება და ვერც „სათანადოდ“.

80. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

III. კონვენციის 5 § 4 მუხლის სავარაუდო დარღვევა

81. მომჩივანი მიუთითებს, რომ მისი ხელმეორედ დაპატიმრების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების (2004 წ. 2 და 8 აპრილის, ასევე და 2005 წ. 24 იანვრის) სამართლებრივი განხილვა, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის საპროცესო მოთხოვნების დარღვევით განიხილა. ის ასევე აღნიშნავს, რომ ადგილობრივი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა რაიმე მექანიზმს, მისი დაკავების კანონიერების საკითხის რეგულარული გადასინჯვის მიზნით. აღნიშნულ კონვენციაში მითითებულია:

„ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და გამოსცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაპატიმრება კანონიერი არ არის“.

82. მთავრობას საქმის დასაშვებობის განხილვის დროს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია.

83. თავის მოსაზრებებში მომჩივანი აღნიშნავდა, რომ სასამართლოს მიერ 2004 წ. 2 და 8 აპრილს, ასევე 2005 წ. 24 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებები სათანადოდ დასაბუთებული არ იყო, ასევე შესაბამისი სამართლებრივი განხილვები რუტინული ფორმულებით განხორციელდა, რაც კონვენციის 5§4 მუხლში მოცემულ სტანდარტებს ეწინააღმდეგება.

84. მომჩივანმა შემდეგ წარმოადგინა, რომ 2005 წ. 24 იანვრის სასამართლო განხილვით მხარეთა თანასწორობისა და შეჯობებითობის პრინციპები დაირღვა, რადგანაც ის ზეპირი მოსმენის გარეშე გაიმართა. მან ასევე აღნიშნა, რომ ამის ნაცვლად არანაირი ადექვატური წერილობითი პროცედურა არ ყოფილა შემოთავაზებული. შესაბამისი ადგილობრივი კანონის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილი ჰქონდა საქმის განხილვის საკითხი, რომლის ნაწილსაც მისი ხელახალი დაპატიმრების გახანგრძლივება წარმოადგენდა, მხოლოდ და მხოლოდ პროკუროროს წარდგინების საფუძველზე, განმცხადებლის წარდგინებების გათვალისწინების გარეშე.

ა. დასაშვებობა

1. დაკავების ავტომატური განხილვის არარსებობა

85. სასამართლო აღნიშნავს, რომ სსსკ-ს შესაბამისი პროცედურული ნორმები, რომელიც მოქმედების განხორციელების დროს იყო ძალაში და რაც წარმოდგენილი საქმის მსგავს გარემოებებში უკვე ორჯერ იქნა გამოყენებული, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის წესს შეესაბამება იმის თაობაზე, რომ სასამართლოს მიერ რეგულარულად უნდა მოხდეს დაკავების კანონიერების შემოწმება (იხ. ფაცურია, მოყვანილია ზემოთ, § 3-57; გალუაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (დეკ.), № 40008/04, 2006 წ. 24 ოქტომბერი).

86. როგორც ფაცურიასა და გალუაშვილის შემთხვევაში, ამ საქმეშიც მომჩივანმა ვერ შეძლო დაესაბუთებინა, თუ რატომ იყო ვალდებული სახელმწიფო ორგანო თავისი ინიციატივით გადაესინჯა დაკავების საკითხი. მას სასამართლოსთვის არც სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები მიუთითებია, რომელიც, სავადაუდოდ, უზრუნველყოფდა მისი დაკავების ავტომატურად გადასინჯვას უფრო ხშირი ინტერვალებით (იხ. გალუაშვილი, გადაწყვეტილება, ზემოთ). განმცხადებლის საჩივარი ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით არის გამოწვევა ეროვნული სისხლის სამართლებრივი პროცედურული წესების მიმართ, ვიდრე ამ კანონის გამოყენება კონკრეტულად მისი სიტუაციის გარემოებების მიმართ (იხ. ფაცურია, მოყვანილია ზემოთ, § 57).

87. აქედან გამომდინარე, საჩივრის ეს ნაწილი დაუსაბუთებელია და უარყოფილი უნდა იქნას როგორც არასათნადო საფუძვლის მქონე, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

2. სასამართლოს 2004 წ. 2 და 8 აპრილის გადაწყვეტილებები

88. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის საჩივარი 2004 წ. 2 და 8 აპრილის სამართლებრივი, პროცედურულად უსამართლო განხილვის შესახებ, მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზების ვითომდა არაადექვატურობას ეფუძნება, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილებაშია მოცემული. თუმცა, ეს უკანასკნელი საკითხი უკვე საფუძვლიანად იქნა განხილული სასამართლოს მიერ კონვენციის 5 § 3 მუხლის შესაბამისად, რომელიც ამ შემთხვევაში არის ლეხ სპეციალის (იხ. §§ 72-80 ზემოთ). სასამართლოს საქმის მასალებიდან გამომდინარე არ შეუძლია განარჩიოს რაიმე დამატებითი გარემოებები, რომლებმაც ექვეყნეშ შეიძლება დააყენოს საპროცესო ნორმები განმცხადებლის დაპატიმრების სამართლებრივ განხილვასთან დაკავშირებით. ნებისმიერ შემთხვევაში, თავად მომჩივანს რომელიმე მათგანი არ მიუთითებია (შედარება: დანოვი ბულგარეთის წინააღმდეგ, № 56796/00, § 93, 2006 წ. 26 ოქტომბერი).

89. შესაბამისად, 2004 წ. 2 და 8 აპრილს მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების საწინააღმდეგოდ, წარდგენილი საჩივარი მიჩნეულია არასათანადოდ დასაბუთებულად და უკუგდებული უნდა იქნას კონვენციის 35 § 3 და 4 მუხლის შესაბამისად.

3. სასამართლოს 2005 წ. 24 იანვრის გადაწყვეტილება

90. სასამართლო აღნიშნავს, რომ საჩივარი არ არის არასათანადოდ დასაბუთებული კონვენციის 35§3 მუხლის მნიშვნელობით. ასევე აღნიშნულია, რომ ის არ არის დაუშვებელი რომელიმე სხვა საფუძვლით. შესაბამისად, საჩივარი დაშვებულად ცხადდება.

ბ. არსებითი განხილვა

91. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მუხლი 5 § 4 ანიჭებს დაკავებულ პირს უფლებას, მოითხოვოს, რომ წარუდგინონ სასამართლოს ყველა იმ პროცედურული და არსებითი პირობების დაცვით, რაც აუცილებელია თავისუფლების აღკვეთის „სამართლიანობის“ კონვენციური პირობებით (იხ. სხვა ბევრ უფლებამოსილებათა შორის, ბროგანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1988 წ. 29 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია „ა“ № 145-„ბ“, გვ. 34-35, §65). საქმის წარმოება შეჯიბრებითობის პრინციპით უნდა გაიმართოს და ყოველთვის დაცული უნდა იყოს „მხარეთა თანასწორობა“. იმ პირის შემთხვევაში, რომლის დაკავება კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის (ვ) პუნქტის შესაბამისად ხდება,

აუცილებელია, რომ გაიმართოს ზეპირი მოსმენა (იხ. სხვა უფლებამოსილებათა შორის, ნიკოლოვა ბულგარეთის წინააღმდეგ [GH], № 31195/96, § 58, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 1999-II).

92. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, კომპეტენტური სასამართლო მოვალე იყო შეემოწმებინა არა მხოლოდ დაკავების შესაბამისობა ეროვნული კანონმდებლობის პროცედურულ წესებთან, არამედ გამოერკვია ეჭვის საფუძვლიანობა, რომელიც პირის დაკავების საფუძველი გახდა, აგრეთვე დაკავების მიზნის კანონიერება შეემოწმებინა (იხ. ბროგანი და სხვები, მოცემულია ზემოთ, გვ. 34-35, §65). იქ, სადაც იურისდიქციის მეორე დონე არსებობს ამგვარი საქმეების მიმართ, იგივე გარანტიები უნდა არსებობდეს (იხ. ნავარა საფრანგეთის წინააღმდეგ, 1993 წ. 23 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია „ა“ № 273-„ბ“, § 28; ტოთი ავსტრიის წინააღმდეგ, 1991 წ. 12 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია „ა“ № 224, § 84).

93. წინამდებარე საქმის პრობლემას რომ მივუბრუნდეთ – სასამართლო განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე 2005 წ. 24 იანვარს – სასამართლომ დაადგინა, რომ ამ გარემოებებში, ამის გამო მოხდა გადახვევა შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებიდან. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, კომპეტენტურმა სასამართლომ, იმ ცამარა, მომჩივანი სასამართლოს გადასცა და ავტორიზაცია გასცა მისი პატიმრობის გაგრძელების შესახებ ზეპირი მოსმენის გარეშე. პროკურორისგან საბრალდებო დასკვნის მიღების შემდეგ, ამ უკანასკნელის პოზიციასთან ერთად, განმცხადებლის დაკავების გაგრძელების შესახებ (მუხლი 410 § 2 და სსსკ-ს მუხლი 412), სასამართლომ განიხილა და არ შეცვალა არც იმ ეჭვის მიზანშეწონილობა, რომ მომჩივანმა დანაშაული ჩაიდინა, და არც განმცხადებლის პატიმრობაში დაბრუნება, აღნიშნულთან დაკავშირებით განმცხადებლის წერილობითი კომენტარების გათვალისწინების გარეშე. ფაქტობრივად, არ არსებობდა კანონით გათვალისწინებული ვალდებულება წერილობითი შეპასუხების გაცვლის გარეშე მხარეებს შორის საქმის წარმოების ეტაპზე სისხლის სამართლის კოდექსის 417-ე მუხლის შესაბამისად.

94. ამგვარად, როგორც ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიხედვით, პროკურატურას ჰქონდა პრივილეგია მიემართა სასამართლოსთვის საქმის წარმოების ადრეულ ეტაპზე დაპატიმრების თაობაზე შესაბამისი არგუმენტებით, ხოლო მხარეს არ ჰქონდა შესაძლებლობა დაეფიქსირებინდა საკუთარი პოზიცია წერილობითი ან ზეპირი ფორმით. შესაბამისად, 2005 წ. 24 იანვრის სასამართლო განხილვა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით არ გაიმართა. ასევე არ იქნა დაცული მხარეთა თანასწორობის პრინციპი (იხ. ილიუკოვი, მოყვანილია ზემოთ, § 104; ჯ.კ., მოყვანილია ზემოთ, § 93; კავკა, მოყვანილია ზემოთ, § 60; ტრჟასკა პოლონეთის წინააღმდეგ, № 25792/94, § 78, 2000 წ. 11 ივლისი; ფოდალი იტალიის წინააღმდეგ, № 70148/01, § 43, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2006 VII; ოსვათი უნგრეთის წინააღმდეგ, № 20723/02, § 18, 2005 წ. 5 ივლისი).

95. საბოლოოდ, სასამართლო მიიჩნევს, რომ დარღვეული იყო გადაწყვეტილების მიღების ფორმაც – ბლანკი, რომელშიც მიგნებები წინასწარ არის ჩაბეჭდილი - რაც მიანიშნებს იმაზე, ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილება განმცხადებლის დაკავების შესახებ არ არის მიღებული შესაბამისი სამართლებრივი წესების დაცვით (იხ. ბელევიცკი რუსეთის წინააღმდეგ, № 72967/01, § 111, 2007 წ. 1 მარტი).

96. ზემოხსენებული განხილვების ჭრილში, სასამართლომ დაადგინა, რომ 2005 წ. 24 იანვრის გადაწყვეტილება კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს.

97. შესაბამისად, დადგინდა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევა.

IV. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

98. კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით, მომჩივანი თავისი ფოტოები პოლიციის განყოფილებაში მკვლელობისთვის ძებნილთა დაფაზე უკანონოდ განთავსებზე მიუთითებს. მე-8 მუხლის შესაბამის ნაწილში მოცემულია:

„1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად ... ცხოვრებას...

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა კანონის შესაბამისად ხორციელდება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ... უწყსრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ...“.

ა. დასაშვებობა

1. მთავრობის არგუმენტები

99. მთავრობა აცხადებს, რომ განმცხადებლის ფოტოების გამოქვეყნება პოლიციის განყოფილებებში გამოძიების ინტერესებისათვის მოხდა. შესაბამისად, მომჩივანს ის 1999 წ. 30 აპრილის „ოპერატიული საგამოძიებო ზომების აქტის“ 6(2) ნაწილით უნდა გაესაჩივრებინა იერარქიულად ზემდგომი ხელისუფლების, პროკურორის ან სასამართლოს წინაშე.

100. მთავრობამ შემდეგ განიხილა, რომ „კონკრეტული პირების“ წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი წარმოების აღძვრის ნაცვლად, მომჩივანს ფორმალურად უნდა მოეთხოვა თავისი ფოტოსურათის ჩამოხსნა „ძებნილთა სტენდიდან“.

101. მთავრობა აცხადებს, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ სწორად გადაწყვიტა 2004 წ. 4 თებერვალს არ მიეცა უფლებამოსილება განმცხადებლის ადვოკატებისთვის, რომ მათ მოეთხოვათ საქმის აღძვრა მისი სახელით. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მიხედვით, ზოგადი წესის შესაბამისად, დაზარალებული შეიძლება სრულად ყოფილიყო წარმოდგენილი თავისი ადვოკატის მეშვეობით, 627-ე მუხლის §1 lex specialis გახლდათ კერძო დევნის საქმეში და დაკონკრეტებული იყო, რომ პირადად დაზარალებულს, ან მის კანონიერ წარმომადგენელს შეეძლო სისხლისსამართლებრივი საჩივრის შეტანა (§42 ზემოთ). მთავრობამ შემგომში გაკიცხა მომჩივანი, რომ 2004 წ. 4 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში არ გაასაჩივრა.

102. საბოლოოდ, მთავრობა აცხადებს, რომ თუ მომჩივანს არ აკმაყოფილებდა ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურორის გადაწყვეტილება საქმის შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაგზავნის შესახებ სადისციპლინო გამოძიებისთვის, მას გადაწყვეტილება ზემდგომ პროკურატურაში უნდა გაესაჩივრებინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 234-ე მუხლის შესაბამისად (პუნქტი 37 ზემოთ). მომჩივანს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 236-ე მუხლის §1-ის შესაბამისად (§38 ზემოთ) შეეძლო ამგვარი იერარქიული საჩივარი წინასწარი გამოძიების მთელი პერიოდის მანძილზე წარედგინა. იგივე არაამომწურავი არგუმენტი ძალაში რჩება, მთავრობის აზრით, განმცხადებლის მეორე სისხლისსამართლებრივი საჩივრის მიმართ, რომელიც პროკურატურაში იქნა წარდგენილი 2004 წ. აპრილში (§16 ზემოთ). მთავრობის მტკიცებით, ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურამ სათანადოდ განიხილა აღნიშნული მოთხოვნა და რადგანაც ვერ შესძლეს დაედგინათ საჯარო მოხელეების მიერ ძალაუფლების სისხლისსამართლებრივი ბოროტად გამოყენების რაიმე ელემენტი, გადაწყვიტა, რომ საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაგზავნილიყო სადისციპლინო წარმოების აღძვრისათვის. (მთავრობას პროკურორის გადაწყვეტილებების ასლები არ წარუდგენია, იხეივ იხ. §16 ზემოთ).

103. ზემოთ ხსენებული არგუმენტების გათვალისწინებით, მთავრობამ დაადგინა, რომ განმცხადებლის საჩივარი კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე არ უნდა იქნას დაკმაყოფილებული, რადგანაც ამოწურული არ ყოფილა ეროვნულ დონეზე არსებული საშუალებები.

2. განმცხადებლის არგუმენტები

104. საქმის შესაბამის გარემოებებზე დაყრდნობით (იხ. §§7-13 ზემოთ), მომჩივანმა უარჰყო მთავრობის არგუმენტები, რომ მას ფორმალურად არასოდეს მოუთხოვია თავისი ფოტოსურათის პოლიციის განყოფილებებიდან გამოტანა. ამის საპირისპიროდ, მისი უპირველესი მიზანი იყო აღნიშნული სიტუაციის გამოსწორება.

მხოლოდ ფოტოსურათის მოხსნის შემდეგ მოითხოვა მათ პასუხისმგებელი პირების დასჯა.

105. განმცხადებლის წარდგინებაში მითითებულია, რომ მას არ გაუპროტესტებია ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს უარი ცილისწამების თაობაზე საქმის აღძვრაზე უარის მიმართ. მიუხედავად ამისა, იმავე სასამართლოს მიერ გაცემული მითითების მიმართ, მომჩივანი მიიჩნევდა, რომ შესაბამისი საგამომიებო უწყებები მოკვლევას აწარმოებდნენ საქმეში მონაწილე სახელმწიფო უწყებების მიერ ძალაუფლების შესაძლო ბოროტად გამოყენების მიმართ. თუმცა, არც პროკურატურას და არც შინაგან საქმეთა სამინისტროს ადექვატურად არ შეუსრულებიათ თავიანთი საგამომიებო მოვალეობები. მას შემდეგ, რაც პროკურატურამ საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუგზავნა სადისციპლინო წარმოების აღძვრის მიზნით, ამ უკანასკნელისგან არანაირი პასუხი არ ყოფილა მიღებული (იხ. §15 ზემოთ).

106. რაც შეეხება არგუმენტს, რომ მან ვერ შესძლო ვაკე-საბურთალოს პროკურატურის გადაწყვეტილების გასაჩივრება, რაც შეეხებოდა მეორე სისხლისსამართლებრივი საჩივრის შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი გადაცემას სადისციპლინო წარმოების კუთხით (§§ 16 და 102 ზემოთ), მომჩივანმა უპასუხა, რომ მან პირველად გაიგო სამთავრობო დადგენილების სასამართლოსთვის გადაცემის შესახებ. ზემოხსენებული გადაწყვეტილების მიღების და მისი მიზეზების შესწავლის გარეშე, ის, რასაკვირველია, საჩივრის წარდგენას ვერ შესძლებდა.

107. მომჩივანი აღნიშნავს, რომ მან ეროვნულ დონეზე არსებული ყველა საშუალება ამოწურა დამრღვევთა გამოვლენისა და დასჯისათვის. თუმცა, კომპეტენტურმა ხელისუფლებებმა მისი საჩივრები სათანადოდ არ განიხილეს და ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე აგზავნიდნენ მას ერთი დაწესებულებიდან მეორეში.

3. სასამართლოს შეფასება

108. სასამართლო ადგენს, რომ ეროვნულ დონეზე არსებული ყველა საშუალების ამოწურვის წესი, რაზეც საუბარია კონვენციის 35-ე მუხლის §1 პუნქტში, ავალდებულებს მომჩივანს ჯერ გამოიყენოს ის საშუალებები, რაც, ჩვეულებრივ შემთხვევაში, ხელმისაწვდომი და საკმარისია შიდა სამართლებრივ სისტემაში, რათა მიღებულ იქნას კომპენსაცია გასაჩივრებული დარღვევების გამო. საშუალებების არსებობა საკმარისად ნათელი უნდა იყოს როგორც პრაქტიკულად, ასევე თეორიულადაც და თუ ეს ვერ ხერხდება, მათ არ ექნებათ საჭირო ხელმისაწვდომობა და ეფექტურობა. მუხლი 35§1 ასევე მოითხოვს, რომ შემდგომში სასამართლოში წარსადგენად გამოიხსნას საჩივრები ჯერ უნდა წარედგინოს შესაბამის ორგანოს ეროვნულ დონეზე, სულ მცირე, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმალური მოთხოვნების დაცვით, მაგრამ ეს არ მოითხოვს, რომ ჯერ რეგრესული მოთხოვნა უნდა გაკეთდეს იმ საშუალებებისადმი, რომლებიც არაადექვატური ან

არაეფექტურია (იხ. აქსოი თურქეთის წინააღმდეგ 1996 წ. 18 დეკემბრის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1996-VI, გვ. 2275-76, §§ 51-52; აკდივარი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, 1996 წ. 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1996-IV, გვ. 1210, §§ 65 67; შარლი თურქეთის წინააღმდეგ, № 24490/94, § 59, 2001 წ. 22 მაისი).

109. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ შიდა საშუალებების ამოწურვის წესის გამოყენებისას უნდა განიხილოს ის ფაქტი რომ ის გასაჩივრდა ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმის კონტექსტში, რის დადგენაზეც ხელშეკრულების მონაწილე ქვეყანამ თანხმობა გამოაცხადა. შესაბამისად, აღიარებულ იქნა, რომ მუხლი 35 § 1 უნდა იქნას გამოყენებული ერთგვარი მოქნილობით და ზედმეტი ფორმალისმის გარეშე. ასევე აღიარებულ იქნა, რომ ამოწურვის წესი არც აბსოლუტურია და არც შეიძლება ავტომატურად იქნას გამოყენებული; იმ მიზნით, რომ განიხილოს თუ სად იქნა გათვალისწინებული, აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ ინდივიდუალური საქმის გარემოებებს. ეს კონკრეტულად ნიშნავს, რომ სასამართლომ რეალისტურად უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში ფორმალური საშუალებების არსებობა, არამედ მხედველობაში უნდა მიიღოს ის ზოგადი კონტექსტი, რომელშიც ისინი მოქმედებენ, განმცხადებლის პირად გარემოებებთან ერთად. შემდეგ უნდა იქნას განხილული, საქმის ყველა გარემოებაში, იღონა თუ არა პირმა ყველაფერი, რისი მოლოდინიც იარსებებდა აღნიშნული პირის მიმართ შიდა საშუალებების ამოწურვასთან დაკავშირებით (იხ. აკდივარის ზემოხსენებული გადაწყვეტილება, §69, აქსოი, §§ 53 და 54, და შარლი, § 60).

110. წინამდებარე საქმის გარემოებებთან დაკავშირებით, სასამართლოს აზრით, დამაჯერებელი არ არის მთავრობის არგუმენტი, რომ მომჩივანს არ გაუპროტესტებია პოლიციაში თავისი ფოტოების გამოქვეყნება „ოპერატიული საგამომიებო ზომების“ შესახებ კანონის 6(2) ნაწილის შესაბამისად. ფაქტობრივად, მომჩივანმა რამდენჯერმე შეიტანა სარჩელი იმ დებულებაში მოხსენიებულ ყველა ხელისუფლებაში: შინაგან საქმეთა სამინისტრო (იერარქიულად ზემდგომი ორგანო), პროკურატურა და სასამართლო. იმის ვარაუდით, რომ მომჩივანი გამოკვეთილად არ დაეყრდნო „კანონის“ 6(2) ნაწილს თავის სარჩელებში, ამგვარი ფორმალობა ვერ გადასწონის იმ ფაქტს, რომ მან ყველა კომპეტენტურ უწყებას შეატყობინა თავისი პრეტენზიის შესახებ. ამგვარადვე უსაფუძვლოა მთავრობის მტკიცება, რომ მომჩივანს არ ჰქონია მიზნად ფოტოსურათების ჩამოხსნა, არამედ ცხდილობდა, რომ „კონკრეტულ პირებს“ სისხლის სამართლებრივად ეგოთ პასუხი მათ გამოკვრაზე. საქმის გარემოებები კი აშკარად საპირისპიროზე მეტყველებს (იხ. §9 ზემოთ).

111. სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არის აუცილებელი იმ მიზეზების ვალიდურობის გადასინჯვა, რის გამოც ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ 2004 წ. 4 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილების მიმართ, რითაც არ იქნა მიღებული სარჩელი ცილისწამების შესახებ, რამდენადაც, აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით არ გასაჩივრებულა (იხ. §13 ზემოთ). თუმცა, სასამართლომ მიაჩნია მნიშვნელობა იმ ფაქტს, რომ მომჩივანმა თავად უკუაგლო

იდეა ცილისწამების თაობაზე საქმის წარმოების გაგრძელებისათვის და გადაწყვიტა, რომ ამის ნაცვლად სისხლის სამართლებრივი წარმოება აღედრა საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილი დარღვევების მიმართ, მათი მოვალეობების შესრულებისას, რომელთაგან ბოლო ქმედება რაიონული სასამართლოს მიერ იქნა განხორციელებული (იხ. §12 ინ ფინე და 105 ზემოთ). ასევე, ამასთან კავშირში ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ როცა არსებობს რამდენიმე პოტენციურად ეფექტური საშუალება, ფაქტობრივდ იმავე ამოცანით, განმცხადებლისგან საკმარისია, რომ მხოლოდ ერთ მათგანს მიმართოს (იხ. მორეირა ბარბოსა პორტუგალიის წინააღმდეგ (დეკ.), № 65681/01, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2004 V; ჟელიჩიკი ბოსნია-ჰერცეგოვინის წინააღმდეგ (დეკ.), № 41183/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2005 XII).

112. რაც შეეხება მთავრობის არგუმენტებს, რომ მომჩივანს შეეძლო ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის გადაწყვეტილებები ზემდგომ პროკურატურაში გაესაჩივრებინა თავისი საქმის შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაგზავნასთან დაკავშირებით, სასამართლო აცხადებს, რომ, ნორმალურ შემთხვევაში, იერარქიული საშუალება არ შეიძლება იყოს მიჩნეული ეფექტურად, რადგანაც ამგვარ წარმოებაში მხარეებს მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ (იხ. ჰორვატი ხორვატიის წინააღმდეგ, № 51585/99, § 47, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2001 VIII; ჰარტმანი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, № 53341/99, § 66, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2003 VIII). უფრო მეტიც, საქმის მასალებით ირკვევა, რომ რამდენადაც მომჩივანი ასაჩივრებდა და მთავრობა კი არ დავობდა, მომჩივანს გასაჩივრებული გადაწყვეტილებები არ მიუღია (იხ. §§ 15 და 105 ზემოთ). შესაბამისად, მას ვერ გავაკრიტიკებთ იმის გამო, რომ მათ წინააღმდეგ საჩივარი არ შეუტანია (იხ. რამიშვილი და კოხრეიძე (დეკ.), მოცემულია ზემოთ; ჩიტაევი და ჩიტაევი რუსეთის წინააღმდეგ, № 59334/00, §§ 139 და 140, 2007 წ. 18 იანვარი).

113. გარდა ამისა, სასამართლოსთვის დამარწმუნებელი არ აღმოჩნდა მთავრობის საყვედური, რომ მომჩივანმა ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორის გადაწყვეტილება თავის მეორე სისხლის სამართლებრივი საჩივრის მიმართ არ გააპროტესტა (იხ. §§ 16 და 102 ზემოთ), იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანს ამ გადაწყვეტილების შესახებ შეატყობინეს მხოლოდ მთავრობის დასკვნების მეშვეობით სასამართლოს წინაშე წარდგენილი საქმის დასაშვებობისა და საქმის არსის შესახებ.

114. განმცხადებლის ლეგიტიმური მოლოდინის საპირისპიროდ, რაც ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს რეკომენდაციას ეფუძნებოდა გამოძიების თაობაზე, პროკურატურამ, ინციდენტის დაჩქარებული და ობიექტური გამოძიების მაგივრად, იმ მიზნით, რომ დაედგინა, არსებობდა თუ არა დარღვევის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ელემენტები, საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს გადასცა. თუმცა, ეს უკანასკნელი პირდაპირ იყო პასუხისმგებელი პოლიციაზე, რის შენობაშიც განმცხადებლის ფოტოსურათები იყო გამოკრული. ამგვარ გარემოებებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებული ნებისმიერი

შიდა მოკვლევა არ იქნებოდა განხილული როგორც ობიექტური ან ეფექტური (ცფ. ბარბუ ანგელესკუ რუმინეთის წინააღმდეგ, № 46430/99, § 66, 2004 წ. 5 ოქტომბერი; ერგი თურქეთის წინააღმდეგ, 1998 წ. 28 ივლისის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1998-IV, §§ 83-84). რამდენადაც კომპეტენტური უწყებები პასიურობდნენ განმცხადებლის სერიოზული საჩივრის მიმართ არასათანადო ქმედების და სახელმწიფო უწყებების მხრიდან მიკერძოების შესახებ (იხ. §9 ზემოთ, ინ ფინე), მომჩივანს ნამდვილად შეეძქმნებოდა საფუძველი მიეჩნია, რომ იმავე უწყებებში შემდგომი მოთხოვნის წაყენება ფუჭი იქნებოდა (იხ. სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ [Gჩ], № 25803/94, § 76, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 1999 V).

115. შესაბამისად, იმ ფაქტის მიმართ, რომ მომჩივანმა იერარქიულ სტრუქტურებს, პროკურატურასა და სასამართლო ხელისუფლებას სრულად შეატყობინა თავისი საჩივრების შესახებ თავისი სურათების უკანონოდ გამოკვრის თაობაზე, სასამართლოს მიაჩნია, რომ მას აღარ ევალებოდა ბოლომდე დაეცვა ყველა ფორმალთა საშუალებების ამოწურვასთან დაკავშირებით, როგორც ეს მთავრობის მხრიდან იყო შემოთავაზებული. წინამდებარე საქმის გარემოებებში, სასამართლოს მიაჩნია, რომ მომჩივანმა ყველაფერი იღონა, რაც კი გონივრულ ფარგლებში შეიძლებოდა მისგან მოსალოდნელი ყოფილიყო თავისი უფლებების დაცვასთან დაკავშირებით (იხ. რამიშვილი და კობრეიძე (დეკ.), მოცემულია ზემოთ; ბელევიცკი, მოცემულია ზემოთ, § 71; აკდივარი და სხვები, მოცემულია ზემოთ, § 69).

116. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო არ აკმაყოფილებს მთავრობის პროტესტს საშუალებების ამოწურვის დაუცველობის მიმართ.

117. სასამართლო შემდგომში ადგენს, რომ კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივარი არ არის დაუსაბუთებელი კონვენციის 35§3 მუხლის მნიშვნელობით. ასევე არ არის დადგენილი რაიმე სხვა საფუძველი მისი დაუშვებლად მიჩნევისათვის. შესაბამისად, ის დაშვებულად უნდა იქნას აღიარებული.ბ. არსებითი განხილვა

1. მხარეთა არგუმენტები

118. მთავრობას დავის საგნად არ გაუხდია ის, რომ პოლიციის მხრიდან განმცხადებლის ფოტოების გამოკვრა ჩარევას წარმოადგენდა კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობით. თუმცა, ჩარევა გამართლებულ იქნა, რადგანაც ის განხორციელდა როგორც „ოპერატიული სამძებრო ღონისძიება“. მთავრობამ საჩივარა, რომ რადგანაც განმცხადებლის ფოტოები მას-მედიით არ გავრცელდა, ჩარევა მხოლოდ შეზღუდული სახისა იყო და დარღვევად არ განიხილებოდა. ისინი შემდგომში ამტკიცებდნენ, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა გამოძიება სათანადოდ წარმართეს, რათა ის პირები გამოევლინათ, რომლებიც ამ გასაჩივრებულ ქმედებაში მონაწილეობდნენ. მთავრობამ ეჭვის ქვეშ დააყენა განმცხადებლის მოთხოვნა, როგორც არაჭეშმარიტი, რომ ფოტოსურათები 2004 წ. 9 თებერვალს გაზეთში

გამოქვეყნებული სტატიის შემდეგ ჩამოიხსნა. რეალურად, ისინი აღნიშნავდნენ, რომ ფოტოსურათი მაშ შემდეგ ჩამოიხსნა, რაც უწყების წარმომადგენლებმა თავიანთი „შეცდომა“ სათანადოდ აღიარეს.

119. მომჩივანმა უპასუხა, რომ მიზეზი იმისა, თუ რატომ გახდა ამგვარი ჩარევა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, მის უკანონობაში მდგომარეობდა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, საგამოძიებო უწყებების მიერ პირის „ძებნაში“ გამოცხადების წინაპირობა იყო სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, სადაც ეს პირი ეჭვმიტანილი ან ბრალდებული გახლდათ დანაშაულის ჩადენაში (პუნქტი 42 ზემოთ). თუმცა, წინამდებარე საქმეში, პოლიციის განყოფილებაში „ძებნაში“ მყოფი პირების დაფაზე ფოტოსურათის გამოკვეთით უწყებებმა მიიჩნიეს, რომ მომჩივანი მკვლელობაში იყო ჩარეული მიუხედავად იმისა, რომ მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი წარმოება დაწყებული არ ყოფილა. შესაბამისად, საზოგადოების თვალში მომჩივანი უკანონოდ და ცილისმწამებლურად იქნა მოაზრებული ძალიან მძიმე დანაშაულში ბრალდებულად.

120. მთავრობის არგუმენტების საპასუხოდ, რომ ჩარევა შეზღუდული ბუნებისა იყო, მომჩივანმა აღნიშნა, რომ პოლიციას მისი ფოტოსურათი შიდა მიზნებისათვის არ გაუვრცელებია. პირიქით, მისი ფოტოსურათი განზრახ იქნა გამოკრული ყველაზე თვალშისაცემ ადგილას პოლიციის რამდენიმე განყოფილებაში მთელი ქვეყნის მასშტაბით ისე, რომ მისი ნახვა რაც შეიძლებოდა მეტ მოსახლეობას შესძლებოდა. მომჩივანი ასევე ჩიოდა, რომ უწყებებმა მისი საჩივრების ეფექტურად გამოძიება ვერ მოახერხეს. პასუხისმგებელი ოფიციალური პირები არ გამოვლენილან და არ დასჯილან.

2. სასამართლოს შეფასება

121. სასამართლო აღნიშნავს, რომ პირადი ცხოვრების უფლების ერთ-ერთი ელემენტია პირის უფლება საკუთარ ფოტოზე. აგრეთვე, რომ პიროვნების ფოტოს გამოქვეყნება მისი თანხმობის გარეშე, თუნდაც ის მოკლებული იყოს რაიმე მიზანს, კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევას წარმოადგენს (იხ. გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ, № 71678/01, §§ 56-57, 2006 წ. 17 ოქტომბერი; ფონ ჰანოვერი გერმანიის წინააღმდეგ, № 59320/00, §§ 50-53, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2004 VI; სჩიაკა იტალიის წინააღმდეგ, № 50774/99, § 29, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2005 I).

122. წარმოდგენილ საქმეში განმცხადებლის ფოტოები არ ყოფილა გამოქვეყნებული გაზეთში, ან გავრცელებული მედიის სხვა საშუალებებით. აგრეთვე არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამ ფოტოების პოლიციის განყოფილებაში გამოქვეყნებით ქვეყნის სხვადასხვა ადგილას, სახელმწიფომ მიზანმიმართულად ხელმისაწვდომი გახდა იგი საზოგადოების ფართო მასებისათვის. გარდა ამისა, წინამდებარე საქმეში ძირითად საკითხს წარმოადგენს არა მხოლოდ განმცხადებლის

ფოტოსურათის ჩვენება საჯაროდ, არამედ ასევე ის მეთოდი, რა გზითაც ეს განხორციელდა და თუ რა მიზანს ემსახურებოდა. განმცხადებლის ძებნილად იდენტიფიცირებაში მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, ხელისუფლების ქმედებამ სახალხოდ რეპუტაცია შეულახა მას, რომ ის სერიოზულ დანაშაულში მონაწილეობდა. ამგვარი შელახვით შედგა ის ფაქტი, რაც მოცემულია კონვენციის მე-10 მუხლის მნიშვნელობით, სადაც, იმდენად, რამდენადაც ეს რეალობას არ შეესაბამებოდა – მომჩივანი ფორმალურად არასოდეს ყოფილა ბრალდებული ან ექვიტანთი მკვლელობაში – ეს სახელის გამტეხი იყო (იხ. უაითი შვედეთის წინააღმდეგ, № 42435/02, § 24, 2006 წ. 19 სექტემბერი; პფაიფერი ავსტრიის წინააღმდეგ, № 12556/03, § 46-47, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2007 ...). აღსანიშნავია, რომ მთავრობამ თავისი ხელისუფლების მიერ ჩადენილი „შეცდომა“ აღიარა (§118 ზემოთ). შესაბამისად, განმცხადებლის რეპუტაცია შელახეს, რაც სოციალური იდენტობის და ფსიქოლოგიური კეთილსინდისიერების ნაწილს შეადგენს, რაც, აქედან გამომდინარე, მისი პირადი ცხოვრების ფარგლებში ექცევა, როგორც ეს გაგებულია კონვენციის მე-8 მუხლით (იხ. პფაიფერი, მოცემულია ზემოთ, §§ 35 და 46-49; შოვი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, № 64915/01, § 70, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2004 VI; გიუნარსონი ისლანდიის წინააღმდეგ (დეკ.), № 4591/04, 2004 წ. 20 ოქტომბერი).

123. მოცემული საქმე სასამართლოს მიერ ადრე განხილულ საქმეთაგან განსხვავდება, სადაც ძირითადად საჯარო პირთა ფოტოების გამოქვეყნების საკითხი განიხილებოდა (იხ. ფონ ჰანოვერი, მოცემულია ზემოთ, § 50; შუსელი ავსტრიის წინააღმდეგ (დეკ.), №42409/98, 2002 წ. 21 თებერვალი). განმცხადებლის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი წარმოებაც კი არ არსებობდა მოცემულ პერიოდში. მისი სტატუსი - ჩვეულებრივი მოქალაქე - გამორიცხავდა მასზე თმენის მოვალეობის გავრცელებას და საკუთარი პირადი ცხოვრების შეზღუდვას რაიმე ლეგიტიმური მიზნისათვის, რომელიც მოხსენიებულია ამ კონვენციაში (იხ. გურგენიძე, მოცემულია ზემოთ, §§ 56-58 და 60-61; სჩიაკა, მოცემულია ზემოთ, § 29; და, ა ცონტარარიო, კრაქსი იტალიის წინააღმდეგ (№ 2), № 25337/94, § 65, 2003 წ. 17 ივლისი; პფაიფერი, მოცემულია ზემოთ, §§ 43-44).

124. განმცხადებლის პირად ცხოვრებაში ჩარევა უნდა შემოწმდეს კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე: ა) შესაბამისობა „სამართლიანობის“ კრიტერიუმთან; Bბ) ლეგიტიმურ მიზანთან შესაბამისობა, გ) იყო თუ არა საჭირო მსგავსი ქმედების განხორციელება „დემოკრატიული საზოგადოებაში“ (იხ. სჩიაკა, მოცემულია ზემოთ, § 28).

125. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ორგანოთა, კონკრეტულად სასამართლოს პრეროგატივაა განმარტოს და გამოიყენოს ადგილობრივი წესები (იხ. კრუსლენი საფრანგეთის წინააღმდეგ, 1990 წ. 24 აპრილის გადაწყვეტილება, სერია „ა“ № 176 „ა“, გვ. 21-22, § 29; ამანი შვეიცარიის წინააღმდეგ [Gჩ], № 27798/95, §52, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000 II), სასამართლოსაც გააჩნია განხილვის უფლებამოსილება (იხ. კრაქსი (№ 2), მოცემულია ზემოთ, § 78).

განსაკუთრებით, სიმართლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ როგორც მოცემულ საქმეშია, სახელმწიფო ორგანოებმა არ განიხილეს სათანადოდ სადავო ჩარევის შესაბამისობა შიდა კანონმდებლობასა და კონვენციის სტანდარტების მიმართ (იხ. *mutatis mutandis*, გურგენიძე, მოცემულია ზემოთ, § 62).

126. როგორც კომპეტენტური ხელისუფლება აცხადებს და მოპასუხე მთავრობა ადასტურებს, განმცხადებლის ფოტოების გამოქვეყნება ძებნაში მყოფ პირთა სტენდზე „ოპერატიული სამძებრო ღონისძიება“ იყო იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი განმცხადებლის გამოცხადება ბრალდების წინაშე მოწმის სახით მკვლელობის საქმეზე (იხ. §§ 9 და 118 ზემოთ). თუმცა, სსსკ-ს 393-ე და 606(1) მუხლების თანახმად, ძებნილად შეიძლება მხოლოდ იმ პირის გამოცხადება, რომელიც არის ეჭვმიტანილი, ან ბრალდებული და ეძებება გამოძიებას ან სასამართლოს. უფრო მეტიც, ოპერატიული გამოძიების დროს განსახორციელებელ მოქმედებათა აქტის მე-8(2) ნაწილში აღნიშნულია, რომ ბრალდებული ან მისჯილი პირის ადგილსამყოფელის დადგენის მიმართ მიღებული იქნება რაიმე ზომები, უნდა მოხდეს ფორმალური გადაწყვეტილების მიღება პროკურატურის ან სასამართლოს მიერ.

127. სსსკ-ს 93-ე და 94-ე მუხლები (§§ 33-34 ზემოთ), რომლებიც ადგენს მოწმის სტატუსს, უფლებებსა და მოვალეობებს, არ ითვალისწინებენ მოწმის „ძებნილად“ გამოცხადების შემთხვევებს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. თუ მოწმე უარს ამბობს ნებაყოფლობით წარსდგეს ბრალდების წინაშე, სასამართლოს შეუძლია გასცეს ორდერი მისი სავალდებულო გამოცხადების თაობაზე. თუმცა, პოლიციის როლი იმ მოწმის იძულებით მიყვანაში, რომლის ადგილსამყოფელიც უცნობია, შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ იძულებით მოყვანის შესახებ ორდერს უბრუნებს სასამართლოს, როგორც „არააღსრულებადს“. მოწმის მოყვანის სხვა მეთოდების გამოყენებას ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს

128. მოცემულ საქმეში მომჩივანი არც ეჭვმიტანილი ყოფილა და არც ბრალდებული და შესაბამისად არც უნდა მომხდარიყო მისი გამოცხადება „ძებნილად“. საქმის მასალებში არ აღმოჩნდა სასამართლოს ორდერი მოწმის იძულებით მოყვანასთან დაკავშირებით, რაც, სისხლის სამართლის კოდექსის 176-ე მუხლის საფუძველზე, შესაძლებელს გახდიდა განმცხადებლის სავალდებულო გამოცხადებას საგამოძიებო უწყების წინაშე მოწმის სახით. მოპასუხე მთავრობის მიერ არ გაკეთებულა მითითება ეროვნული კანონის არცერთ დებულებაზე, ან ეროვნული ხელისუფლების რაიმე გადაწყვეტილებაზე, რომელიც შეიძლება ყოფილიყო განმცხადებლის ფოტოების საჯაროდ გამოქვეყნების და მკვლელობაში მოაზრების სამართლებრივი საფუძველი. ასეთ გარემოებებში, არ შეიძლება ითქვას, რომ ჩარევა „კანონის თანახმად განხორციელდა“, როგორც ამას კონვენციის მე-8 § 2 მუხლი მოითხოვს.

129. სასამართლო აღნიშნავს, რომ თუკი ამკარაა, რომ ჩარევა კანონიერად არ მომხდარა, სახეზეა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა და არ არის სავალდებულო დადგინდეს, რამდენად ემსახურებოდა ამგვარი ჩარევა „ლეგიტიმურ მიზანს“ ან იყო

თუ არა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ (იხ. სჩიაკა, მოცემულია ზემოთ, §30; კრაქსი (№ 2), მოცემულია ზემოთ, § 84; დობრევი ბულგარეთის წინააღმდეგ, № 55389/00, § 165, 2006 წ. 10 აგვისტო).

130. სასამართლოს შეეძლო მარტივად აღენიშნა, რომ თუ მოხდებოდა პირადი ხასიათის გამჟღავნება კონვენციის მე-8 მუხლის საწინააღმდეგოდ, ინდივიდის პირადი ცხოვრების უზრუნველყოფის მიმართ არსებული დადებითი ვადლებულება მოიცავს ვალდებულებას განხორციელდეს ეფექტური მოკვლევა საქმის რაც შეიძლება მალე გამოსწორებისათვის (იხ. სჩიაკა, მოცემულია ზემოთ, §§ 74-75). წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით ეს ასე არ მომხდარა. ხელისუფლებამ ვერ შესძლო თავისი მოვალეობის შესრულება და საფუძვლიანი განმარტების უზრუნველყოფა განმცხადებლის „პირად ცხოვრებაში“ ჩარევის გამო. უფრო მეტიც, მოპასუხე მთავრობის მხრიდან სასამართლოში „შეცდომის“ აღიარების მიუხედავად, კომპეტენტური ეროვნული უწყებები არ გამოვლენილან და არც პასუხისმგებელი სამთავრობო პირების მიმართაც არანაირი სანქცია არ განხორციელებულა (იხ. §114 ზემოთ).

131. ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ კონვენციის მე-8 მუხლი დაირღვა.

V. კონვენციის სხვა მუხლების სავარაუდო დარღვევა

132. მომჩივანი კონვენციის მე-6 მუხლის №1 და 3 პუნქტებს დაეყრდნო თავისი საჩივრების არსის გამოვლენის გარეშე.

133. იმის ვარაუდით, რომ მომჩივანს გამიზნული ჰქონდა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი წარმოებს გასაჩივრება, სასამართლომ აღნიშნა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციის შესაბამისად, რაც მხარეებმა საქმის მასალებში წარმოადგინეს, აღნიშნული წარმოება ჯერ კიდევ არ დასრულებულა (იხ. §29 ზემოთ). რაც უფრო მნიშვნელოვანია, მომჩივანმა ვერ მოახერხა თავისი საჩივრების დაკონკრეტება და დასაბუთება. ამის გამო სასამართლო უკუაგდებს მას იმის გამო, რომ არასათანადოდ არის დასაბუთებული, კონვენციის 35-ე მუხლის §§ 3 და 4 პუნქტების შესაბამისად.

VI. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

134. კონვენციის 41-ე მუხლში მოცემულია:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ

ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.”

ა. ზიანი

1. მატერიალური ზიანი

135. მომჩივანი მოითხოვს მატერიალური ზარალის კომპენსაციას 2,000 ევროს ოდენობით. ეს, როგორც გაცხადებულია, გახლავთ საშუალო თანხა, რომელიც მას შეეძლო გამოემუშაებინა თუ დასაქმებული იქნებოდა იმ პერიოდში, როცა უკანონოდ იყო დაკავებული.

136. მთავრობამ საჩივარა, რომ არ არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მოთხოვნილ ზარალსა და დარღვევას შორის, რადგანაც მომჩივანი დაკავებამდე უმუშევარი იყო.

137. სასამართლომ არ განიხილა რაიმე მიზეზ-შედეგობრივი კავშირი აღმოჩენილ დარღვევებსა და მატერიალურ ზარალს შორის და მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

2. მორალური ზიანი

138. მომჩივანი მოითხოვდა 70,000 ევროს არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, იმ სირთულეებისა და მორალური სიძნელეებისათვის, რაც კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევამ გამოიწვია.

139. მთავრობის მოსაზრებით, მოთხოვნილი თანხა არაგონივრულად მაღალი იყო.

140. სასამართლოს ეჭვი არ გააჩნია, რომ მომჩივანმა მორალური სირთულეები და იმედგაცრუება გადაიტანა კონვენციის მე-5 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული მისი სხვადასხვა უფლებების დარღვევის გამო. მის შედეგად მიყენებული არამატერიალური ზარალი ადექვატურად არ იქნებოდა ანაზღაურებული მხოლოდ ამ დარღვევების აღიარებით (იხ., მაგალითად, სტასაიტისი ლიტვის წინააღმდეგ, № 47679/99, § 99, 2002 წ. 21 მარტი; ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ [GR], № 71503/01, §§ 199-201, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2004 II; ფაცურია, მოცემულია ზემოთ, § 99; მ.ბ.. პოლონეთის წინააღმდეგ, № 34091/96, §§ 71 და 72, 2004 წ. 27 აპრილი; გურგენიძე, მოცემულია ზემოთ, §76). თანასწორობის საფუძველზე განხორციელებული შეფასებით, სასამართლო აკმაყოფილებს განმცხადებლის მოთხოვნას 8,000 ევროს მიღების თაობაზე წინამდებარე პუნქტში.

ბ. ხარჯები და დანახარჯები

141. განმცხადებლის წარმომადგენელი მოითხოვს 10,500 ევროს ანაზღაურებას იმ ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად, რომელიც მომჩივანმა გაიღო ეროვნულ დონეზე სასამართლოებსა და წინამდებარე სასამართლოს მიმართ. წარმომადგენელი ადასტურებდა, რომ მან 113 საათი იმუშავა შიდა, ხოლო 90 საათი კი ამ სასამართლოში საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, სადაც, ორივე შემთხვევაში, ტარიფი 50 ევრო იყო. ზემოხსენებული მოთხოვნის დასაბუთებისთვის არანაირი ინვოისი, კონტრაქტი თუ სხვა დოკუმენტი არ ყოფილა წარმოდგენილი.

142. მთავრობამ უპასუხა, რომ მოთხოვნილი თანხა მეტისმეტად დიდი იყო.

143. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მომჩივანს შეუძლია მოითხოვოს ხარჯების და დანახარჯების ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ნაჩვენებია, რომ ისინი მართლაც გაწეულია და დასაბუთებულია, რომ აღნიშნული დანახარჯები აუცილებლობით იყო გამოწვეული, ასევე თუ მათი ოდენობა მიზანშეწონილია. წინამდებარე საქმეში, განხილვის საგანს წარმოადგენს რომელიმე სახის სამართლებრივი ან ფინანსური დოკუმენტის არარსებობა, რომელსაც შეეძლო აღნიშნული მოთხოვნა დაესაბუთებინა, ამიტომაც სასამართლო მას არ აკმაყოფილებს.

გ) საურავი

144. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად ადგენს:

1. დაუშვებლად იქნას ცნობილი განმცხადებლის პრეტენზიები კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან დაკავშირებით, განმცხადებლის წინასწარი დაკავების ავტომატური განხილვის არარსებობასთან დაკავშირებით; ასევე 2004 წ. 2 და 4 აპრილის განხილვების არაკანონიერების და აგრეთვე მე-6 მუხლის §§ 1 და 3 პუნქტების საფუძველზე აღძრულ მოთხოვნებთან დაკავშირებით;

2. დასაშვებად იქნას ცნობილი სხვა დანარჩენი პრეტენზიები;

3. რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 (1) მუხლის დარღვევას განმცხადებლის დაკავებისას ისეთ გარემოებებში, რომელიც პიროვნების უსაფრთხოების უფლებას ხელყოფს;

4. რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 §1 (ვ) მუხლის დარღვევას პატიმრობის ვადის ხელმეორედ გაგრძელების საფუძველად შესაბამისი სასამართლო ორდერის არარსებობის გამო;

5. რომ ადგილი ჰქონდა მე-5 (3) მუხლის დარღვევას, რადგანაც არ არსებობდა საკმარისი მიზეზები განმცხადებლის ხელმეორედ დაპატიმრებასთან დაკავშირებით;

6. რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 (4) მუხლის დარღვევას ზეპირი მოსმენის გარეშე სასამართლო განხილვის გამართვის გამო 2005 წ. 24 იანვრის ;

7. რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი განმცხადებლის, როგორც „ძებნილის“ ფოტოსურათის გამოკვრით სხვადასხვა საჯარო ადგილას პოლიციის განყოფილებებში;

1. ადგენს:

(ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ მომჩივანს 8,000 (რვა ათასი) ევრო უნდა გადაუხადოს სამი თვის ვადაში იმ დღიდან, რაც საბოლოოდ იქნება მიღებული გადაწყვეტილება კონვენციის 44-ე მუხლის §2 პუნქტის შესაბამისად, პლუს ნებისმიერი გადასახადი, რაც კი დარიცხულია არამატერიალური ზარალის შემთხვევაში, რომელიც მოპასუხე ქვეყნის ეროვნულ ვალუტაში უნდა იქნას გადაყვანილი ანგარიშსწორების დღისათვის არსებული კურსის შესაბამისად ;

(ბ) რომ ზემოხსენებული სამი თვის გასვლის შემდეგ ანგარიშსწორების დღემდე მარტივი პროცენტი დაერიცხება ზემოხსენებულ თანხას იმ პროცენტით, რაც ევროპის ცენტრალურ ბანკში არსებულ ზღვრულ სასესხო განაკვეთს უტოლდება გადაუხდელობის პერიოდის განმავლობაში, პლუს სამი პროცენტი;

2. არ აკმაყოფილებს განმცხადებლის სხვა მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობა წერილობით 2009 წ. 13 იანვარს, სასამართლოს რეგლამენტის 77 §§ 2 და 3 შესაბამისად.

სალი დოლე
რეგისტრატორი

ფრანსუაზ ტულკენსი
თავმჯდომარე